რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 1 ივნისი 1917 წ.

118

ერთობა

თანამედროვე აჯარის ბაზ „რძე

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი, ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ა[illegible]სი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Т[illegible] Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 60 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 60

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ **პარტიული სტამბა.** პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ღრმად დამწუხრებულნი ძმები პროკოპი და ლეონიდ ძნელაძეები არწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავისი უსაყვარლესი დის

ანუშკა (ანნა) თეოდორე ძნელაძის ასულისა

გამოსვენება დანიშნულია ოთხშაბათს, 31 მაისს დილის 9 საათზე ცენტრალნი სასტუმროდან ბორჯომში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში და დაკრძალვა 12 საათზე ბორჯომში. 2—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ისიდორე და კატო; და თამარი; ძმები: ალექსანდრე და ილიკო; ბიძა თედორე და ბიცოლა მარო კვაშალები გულითადი მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პეტროგრადში რევოლიუციის დღეებში გაცივების გამო სამხედრო აკადემიის სტუდენტის ძვირფასი

კაკალა (ლევან) ისიდორეს ძე კვაშალის,

რომლის ცხედარს ამ დღეებში ჩამოასვენებენ ქ. ოზურგეთში. დაკრძალვის დღე იქნება კერძოთ გამოცხადებული.

სახალხო სახლი.

ხუთშაბათს, 1 ივნისს კოტე ფოცხვერაშვილის მეთაურობით და მონაწილეობით გაიმართება პირველად თფილისში სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით

დიდი ეთნოგრაფიული საღამო—კონცერტი

შესავალი: ცხოველი სანახაობა და სცენა ქართულ ცხოვრებიდგან.

პირველი განყოფილება: 1) სიტყვა მუსიკაზე (განსაკუთრებით გურულ-აჭარულზე); 2) ქართლ-კახური გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით; 3) გურულ-აჭარული გუნდი ვ. სიმონიშვილის ლოტბარობით.

მეორე განყოფილება: 1) თარი და ფანდური ქართლ-კახური გუნდის დამღერებით; 2) სტვირი და ჩანგური გურულ-აჭარული გუნდის დამღერებით.

3) ქართული ხალხური სასიმღერო სიმფონიები.

მესამე განყოფილება: 1) ქართული ცეკვა; 2) თამაში: ცალფა, წყვილი, სამაია, ჯაზუფური და ფერხული; 3) ძველი ქართული ცეკვა ხორუმი.

მონაწილეობას მიიღებენ: კ. ფოცხვერაშვილი, მ. კავსაძე, ვ. სიმონიშვილი, დრამის მსახიობები, მეთარე, მეფანდურე, მესტვირე, მეჩანგურე, ქართლ-კახური გუნდი, გურულ-აჭარული გუნდი, საგანგებოდ მოწვეული ქართველი მაჰმადიანები, რომელთა მიერ შესრულებული იქნება იშვიათი სანახაობა ძველი ქართული სამხედრო და საზეიმო ჯაზუფური ცეკვა ხორუმი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი ს. ღ. 8 საათზე. **აფიშები არ გამოვა.**

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.

პარასკევს, 2 თებერვალს, სახ. ს. სც. მოყ. მიერ ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა ვ. იმედაშვილის მიერ

ქ რ ი ს ტ ი ნ ე.

დრ. 4 მოქ.

დასაწყისი სად. სწორეთ 8 ნახ. საათზე. ◆ ადგილების ფასი 20 კ-დან 1 მ. 49 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე.

თფილისის კანტორა სახელმწიფო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ 5 პროც.

თავისუფლების სესხზე

ხელის მოწერა გაგრძელებულია 1917 წლის 15 ივლისამდე.

ამხანაგებო და მოქალაქენო!
არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება!

28 მაისს ქალაქში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა ქალაქის საარჩევნო სიის შესადგენათ. ეს აღწერა გაგრძელდება სამ დღეს.

უკეთუ აღმწერლები თვენთან და თქვენ მეზობლებთან ჯერ არ მოსულან ან და რაიმე მიზეზით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ რომელიმე საარჩევნო უფლების მქონე პირი, დაუყონებლივ შეატყობინეთ ეს მცხოვრებთა აღწერის საქმის საუბნო ხელმძღვანელთ ან მახლობელ კოოპერატივში, პროფესიონალურ კავშირში, მუშათა დეპუტატების საბჭოში, ადგილობრივ ცეხების ან ფაბრიკა-ზავოდების კომისიებში, ამასთანავე თქვენ უნდა აღნიშნოთ სახელი, გვარი და მამის სახელი იმ ამომრჩევლის, რომელიც სიაში არ შეუტანიათ, აგრეთვე უნდა აღინიშნოს მათი წლოვანება სახლის ნომერიც, სადაც ასეთი პირები ცხოვრობენ. შეატყობინეთ აგრეთვე იმავ დაწესებულებებს სახელი, მამის სახელი და გვარი იმ უცხო ქვეშევრდომთა და სხვა პირთა შესახებ, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდა და საარჩევნო სიაში კი შეტანილი არიან. გახსოვდეთ, რომ უკეთუ საარჩევნო სიაში არ ჩაგწერენ თქვენ ჰკარგავთ საარჩევნო უფლებას დემოკრატიულ ამომრჩევლის ერთი დაკარგული ხმა ხინწევს პლუტოკრატიის გაძლიერებას და დემოკრატიის დასუსტებას.

არ დაივიწყოთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ი. პ. კაკაბაძის სამეურნეო წარმოება ქუთაისში.

აცნობებს საზოგადოებას, რომ მას ახლა აქვს დამზადებული კეთილ სამო და სურნელოვანი

მარწყვის ჩაი

მარგებელია ყველასათვის. გულით და ნერვებით სუსტ პირთ ურჩევენ ამ ჩაის ხმარებას.

სში გირვანქა მარწყვის ჩაი ღირს 2 მ. 25 კაპ., ადან: თფილისში, ბაქოში, ტროგრადში და სხვ. 2 მან. კაპ.; სჯობს დ ვ დაიკვეთოთ.

თფილისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის ბიურო

მოთავსებულია ზუბალაშვილის სახალხო სახლში. ღიაა 10—1 საათამდე და 5—7-ამდე. შესასვლელი ეზოდან, მეორე სართულზე. აქვე შეიძლება პარტიის წევრების ჩაწერა, შოვნა პარტიულ ლიტერატურისა და აგრეთვე მიღება ხელის მოწერა ყველა ადგილობრივ პარტიულ გაზეთებზე ბიუროს საშუალებით.

ბიურო და კლუბი მეოთხე რაიონულ კოლექტივის თფ. ორგ. რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია ლორის-მელიქოვის ქუჩაზე (პირველ ქალების გიმნაზიაში). აქვე შეიძლება ჩაწერა ს.-დ. პარტიაში რეკომენდაციით, მიღება სხვადასხვა ცნობებისა, იყიდება წიგნები, ბროშიურები და გაზეთები და სხვა. ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს, ვისაც აქვს კვიტანც. წიგნაკები და ფული დაუყონებლივ შემოიტანონ ხაზინადარ ამხ. ზუკაკიშვილთან ბიუროში.

ბიურო ღიაა დილ. 10—3 ს—დე. და საღ. 6—7 ს—დე

მდივანი ი. კალანდარიშვილი.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, საზ. [illegible]

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზმიზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელისგვერდით. ტელეფ. 15—00.

ა. ა. მეგრაბიანცი

შინაგანი ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისდუშმიგენის, —კვარცით. დიდი სოლინოიდი სპეციალური მიღება და არსონვალის ტოკითა ფიზტემების ავადმყოფობისათვის, გულისათვის, არტერიოსკლეროზისათვის და აგრეთვე მაგარის ჰემოზის, სისხლ ნაკლებობის, ქსიმობის, ნევრალგიისათვის. ზურგსმალის ტვინის ავათმყოფობის ატაქსის, ბუასილი, და რევმატიზმისათვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქ უ თ ა ი ს ი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტროთისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

დამფუძნებელი კრების მოწვევის გარშემო.

მომავალ დამფუძნებელ კრების მოწვევა გვიანდება. სამი თვე მეტია, რაც რუსეთის დიდი რევოლიუცია მოხდა და დღევანდლამდის დროებით მთავრობას დამფუძნებელ კრების პროექტის შემუშავებაც კი ვერ მოუწყვია, მხოლოდ 25 მაისს გახსნა თათბირი დასახელებული კრების მოწვევის შესახებ და იმედია საარჩევნო წესი მალე გამომუშავდება და რუსეთის ფართო მცხოვრებნი მას სამზადის შეუდგებიან. აქ ორი აზრი შეუძლებელია. დამფუძნებელი კრების ადრე მოწვევა რუსეთის რევოლიუციის გაღრმავებას, მის მყარ ნიადაგზე დაყენებას განამტკიცებს და მით ხალხის მართველობას შეურყეველ საძირკველი ჩაეყრება. შემცდარია ზოგიერთების შეხედულება, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს მომავალ დამფუძნებელი კრების მოწვევის დაგვიანება, მისი შორეული დროისთვის გადადება ფართო მასაში შექმნიდა ისეთ პოლიტიკურ შეხედულებას, რომელიც მას უკარნახებდა, რომ ხალხს უმონარქოთ ცხოვრება შეუძლია და ამასთან უკეთესადაც.

ერთის შეხედვით ზევით დასახელებული შეხედულება სიმართლესთან ახლოსა სდგას, თითქოს გონიერი და საღი მოსაზრება იყოს. მით უმეტეს, რომ ამ ჯურის ამხანაგები თავიანთ ასეთ მოსაზრებას ისტორიულ საბუთზე, საფრანგეთის რევოლიუციის მაგალითებზე ამყარებენ. საფრანგეთის რევოლიუციის დროს რევოლიუციის ავანგარდი მუშათა კლასი დამფუძნებელ კრების მოწვევას დაუყონებლივ არ მოითხოვდენ. სწორეთ იმ მოსაზრებით, რომ საფრანგეთის ხალხი შეეჩვეოდა უმეფო, უმონარქიო ცხოვრებას. მათმა ასეთმა ზომამ, როგორც ვიცით სასურველი ნაყოფი გამოიღო და ხალხში დამფუძნებელ კრების მოწვევამდის კლასობრივათ გაიწვრთნა, პოლიტიკურათ დაიხვეწა და მათში მონარქიზმისადმი მისწრაფება სამუდამოთ გაჰქრა.

მაგრამ საფრანგეთის იმ დროის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა სრულიად არ წააგავს რუსეთის ამჟამ მდგომარეობას. რუსეთში დიდ რევოლიუციას განსაკუთრებულ პირობებში მოუხდა წარმოშობა. ამჟამად იგი საგარეო წარმოუდგენელ ომს აწარმოებს და ამის გამო მთელი ეკონომიური ცხოვრება არაჩვეულებრივ კრიზის განიცდის. მაშასადამე რუსეთის რევოლიუციას გაცილებით მძიმე პირობებში უხდება მოქმედება, ვიდრე საფრანგეთის რევოლიუციას, უნდა წარმოუდგენელი ეკონომიური კრიზისი მოაწესრიგოს და ამასთანავე გარეშე მტერს გაუმკლავდეს. ასეთ პირობებში რევოლიუციის გაღრმავებას ეკონომიური კრიზისი და ომის საშინელება თავს დასტრიალებს. ომმა და ეკონომიურმა კრიზისმა რუსეთის დიდ რევოლიუციას ნიადაგი მოუპოვა და ბოლოს იგი წარმოშობა. ესევე ომი და ეკონომიური კრიზისი ნიადაგს უმზადებს კონტრ რევოლიუციას, ანარქიულ მოძრაობას. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ზოგიერთა პარტიების უკიდურესი მიმდინარეობა, ანარქო-სინდიკალისტები, დროებით მთავრობას, თვით კოალიციონურ სამინისტროს სრულ უნდობლობას უცხადებს და დეზორგანიზაციული მოძრაობა ძლიერდება.

ახლა, სწორეთ ასეთ პირობებში საჭიროა ავტორიტეტული ორგანო, თვით ხალხის მიერ მოწვეული დამფუძნებელი კრება, რომელიც ხალხის ნდობით იქნება აღჭურვილი, ხალხის მართველობის ორგანო იქნება, რომლის ავტორიტეტს და დირექტივებს მთელი ხალხი დაემორჩილება.

ასეთ ნგრევა-შენების ხანაში დამფუძნებელ კრების მოწვევა, მისი დაჩქარება აუცილებელი საქმეა და იგი თავისი ძლიერი ავტორიტეტული ხმით გადასწყვეტდა და მოაწესრიგებდა იმ არაჩვეულებრივ კრიზის, მოასპობდა იმ საშინელ ომს, რომლის გაგრძელებაც რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას საფრთხეს უმზადებს.

მაგრამ ბურჟუაზია ხალხის ორგანოს—მომავალ დამფუძნებელ კრების მოწვევას არ ჩქარობს, მან კარგათ იცის, რომ მომავალი სახალხო ორგანო ბურჟუაზიულ პრივილეგიურ ბატონობას ბოლოს მოუღებს და ხალხის ბატონობას და ხალხის მართველობას საძირკველს ჩაუყრის.

აი ასეთი შიშის აჩრდილი მას თვალწინ უდგას და ისინიც ყოველ ღონეს ხმარობენ დამფუძნებელ კრების მოწვევა შორეული დროისთვის გადასდონ და ამ გზით თავიანთ პრივილეგიური ბატონობა ერთი ხნით კიდევ გააგრძელებინ. მაგრამ რუსეთის რევოლიუციონური მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები მას არ მოითმენენ და ყოველ ღონეს იხმარენ დამფუძნებელ კრების მოწვევა დააჩქარონ.

ამ ნიადაგზე ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

კიდევ ქალაქის არჩევნების შესახებ.

მცხოვრებთა აღწერა დამთავრდა, მალ
საარჩევნო სიები გამოქვეყნდება და შემდ
თვით არჩევნები მოხდება.

ეს პირველი თავისუფალი არჩევნები
ბა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო კენჭის ყრის საფუძველზე. ამიტომ მას დიდზე-უდიდესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ რევოლ უციონურ ხანაში ვცხოვრობთ. ყველა რევოლიუციაში რევოლიუციის ციხესიმაგრეს ადგილობრივ ორგანოებში შეკავშირებული დემოკრატია შეადგენდა. რევოლიუციონური დემოკრატია, პირველყოვლისა ქალაქის თვითმართველობას იგდებდა ხელში, იქ მაგრდებოდა და მას თავის სასარგებლოთ იყენებდა. ვინ არ იცის, თუ რა დიდი როლი ითამაშა პარიზის ქალაქის თვითმართველობამ 1789—93 წ.წ. რევოლიუციის დროს. ის ერთგულ დარაჯათ ედგა რევოლიუციის ინტერესებს და მედგრათ ილაშქრებდა ხალხის უფლებათა ყოველგვარი შეკვეცის წინააღმდეგ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს მნიშვნელობა დღესაც შერჩა ადგილობრივ თვითმართველობათ. რუსეთი უდიდესი სახელმწიფოა. რევოლიუციის მთლიანობა აქ შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ თვითმართველობათა დემოკრატიის მიერ ხელში ჩაგდებით.

ამიტომ მუშათა კლასმა მას უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს და ყოველი საშუალება იხმაროს, რომ ქალაქის თვითმართველობაში გამაგრდეს და ის რევოლიუციის
იმედო ციხე-სიმაგრეთ აქციოს. ეს უნდა გახდეს დღევანდელი დღის უმთავრესი საზრუნავი საგანი.

ბურჟუაზია კარგათ აფასებს ქალაქის თვითმართველობის მნიშვნელობას და ამიტომ ენერგიულათ ირაზმება. მან დიდი ხანია დაიწყო საარჩევნო სამზადისი. მისი გამოცდილი ხელმძღვანელები, ისინი, ვინც ძველი რეჟიმის მიერ აღჭურვილი იყვნენ საარჩევნო უფლებით, ათასგვარ ხრიკს მიმართავენ, რომ საყოველთაო საარჩევნო არჩევნების დროსაც სათავეში მოექცენ ქალაქს. ამისთვის მან შეიცვალა ძველი ლოზუნგები ახალზე და დროის შესაფერით წითელი მანტია წამოისხა. გუშინდელი დაუძინებელი მტრები დემოკრატ
მძარცველები ქალაქის სიმდიდრისა და ქონ
ბის, უსაშინლესი მტრები მუშათა კლა
დღეს უკიდურეს რევოლიუციონერთა ს
გვევლინებიან და ლამაზი ფრაზებით
ხალხს დაავიწყონ თავისი გუშინდელი
მოღვაწეობა. ბებრუხანა პლუტოკრატია
საპატარძლოთ ემზადება და უნდა მისთ
დეს განახლებულ ქალაქის თვითმართველო
ბას. არლეკინ-არეუთინოვები ახლა უკი
რესი რევოლიუციონერები გამხდარან!

სახელდახელო გარევოლიუციონერებით სურ
ძველი მდგომარეობა შეინარჩუნონ. ეს ერთად
ერთი საშუალება დარჩენიათ დღეს და ამას
ისინი საგულდაგულოთ იყენებენ. ისინი კარგათ ხე
დავენ, რომ ქალაქის არჩევნები ახალი კანო
ნით სრულიად დემოკრატიის ხელშია. და
სოლოლაკის სირინოზებმაც მიიღეს
შესაფერი ფერი. მაგრამ მათ
დემოკრატიამ უნდა გამოიცნოს
მტრები, რომლებიც ძველ
მონოპოლიზებული პრივილეგიებ
ბლობდა. საჭიროა ნიღ
გაუფხრიწოთ, რათა
დაინახონ მათი ნამდვილ

დღეს ყველა რევოლ
სოციალისტობს.
კი თავის თავს და
სტურს უწოდებს.
სხვა და სხვა
ნაციონალისტურ
ლიზმის ერთგულ
თავი! მაგრამ ჩვენ
სტების“ ზნე ჩვეუ
როგორ „ერთგულ
სოციალიზმს.

ნაციონალისტურ
ფეზიონიზმის გამო

ნი უნდა იყოს ჩვენი საარჩევნო აგიტაციის.

თფილისი მრავალეროვანი ქალაქია. აქ თავმოყრილია სხვა სხვა ერის ხალხი.

ნაციონალისტური პოლიტიკა დასცემს ქალაქის თვითმართველობას, გახდის მას შოვინისტების საჯიროთ მოედნათ.

ქალაქის თვითმართველობა ინტერნაციონალური მუშათა დემოკრატიის ხელში უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებს ის დააკმაყოფილოს ადგილობრივი უსაჭიროესი მოთხოვნილებანი და იყოს ბურჯი რევოლიუციისა.

ჩაუგდეთ ის ნაციონალისტებს ხელში და თქვენ საშინელ ლახვარს ჩასცემთ რევოლიუციის გულში. რევოლიუციონური ძალების გაერთიანების მაგიერ ის გათიშავს და დააქუცმაცებს მის რაზმებს.

ეს კარგად უნდა შეიგნოს და გაითვალისწინოს მუშათა დემოკრატიის შეგნებულმა ნაწილმა და მთელი თავისი ენერგია, მთელი თავისი ძალა და გავლენა იმას მოახმაროს, რომ ქალაქის თვითმართველობა ხელში არ ჩაუვარდეს ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს.

ქალაქის მცხოვრებთა აღწერა დასრულდა. ამჟამათ დგება სიები. რა გინდ ფრთხილად იყოს ეს აღწერა, იქნება არ არის ნაწილი ამომრჩევლების და უმთავრესათ, რასაკვირველია, დემოკრატიული ამომრჩევლები გამოტოვებული იქნებიან. ამიტომ ეცადეთ არავინ დარჩეს საარჩევნო სიების გარეშე. ვინც არ აღწერეს, გაუცხადეთ ეს ქალაქის საარჩევნო კომიტეტს. დაინტერესეთ მომავალი არჩევნებით ფართო მასა. აუხსენით მნიშვნელობა განახლებული თვითმართველობისა. გაარკვიეთ, თუ რა მიზანს ითხოვს სოციალდემოკრატია, რას დაიცავს და რის წინააღმდეგი იქნება იგი. იყავით ყველა თავ-თავის ადგილას, ყველა პარტიის წევრმა, ყველა თანამგრძნობმა, მიიღეთ აქტიური მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში. რითაც შეგიძლიათ და როგორათაც შეგიძლიათ დაეხმარეთ პარტიის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს.

შეადგინეთ საარჩევნო კომიტეტები ყველა უბანში, დაყავით ქალაქი ნაწილებათ და ცალკე ქუჩებათ და შემოიკრიბეთ თავს გარშემო დემოკრატიული ამომრჩევლები.

დღის საყოველთაო არჩევნები საშუალებას გვაძლევს ცოცხალ საქმეზე დავუახლოვდეთ მასას, პირისპირ შევხვდეთ მას. ნუ გავუშვებთ ხელიდან ამ საუცხოვო საშუალებას ჩვენი პარტიის გაძლიერებისათვის, ჩვენი იდეის ხალხში გავრცელებისათვის.

დიდ, მრავალ ათას საარჩევნო ბიულეტენს წინ უძღოდეს შეგნებული მუშის სოციალისტური სიტყვა. დიდ, ნაყოფიერი იქნება ამ დღეებში გაჩაღებული საარჩევნო ბრძოლისა!

იჩქარეთ, დრო ძალიან ცოტაა!

«უმცირესობის» კონფერენცია.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ დაუახლოვა ერთი მეორეს სხვა და სხვა ჯგუფები, მაგრამ ვერ მოსპო უთანხმოება. მოხდა ერთგვარი გადაჯგუფ-გადმოჯგუფება. დამარცხების მსურველები გვერდში ამოუდგნენ მემარჯვენე თავდამცველებს. დაიმახსოვრეთ, რომ ამ ორ უკიდურესობას ერთი წყარო აქვს. ისიც და ესეც მარტო რუსული პოლიტიკური სამრეკლოდან იყურებოდა. ერთი ამბობდა,—გამარჯვება ხელს შეუწყობს აქაურ პოლიტიკურ განახლებას, მეორე გვარწმუნებდა,—ამნაირი განახლებისათვის უფრო დამარცხებაა საჭიროო. რევოლიუციამ მოსპო ჩვენი პოლიტიკური სამრეკლო და შეაერთა ეს ორი უკიდურესი აზროვნება. შეერთებულმა ჯგუფებმა სახელად დაირქვეს „რევოლიუციონური თავდამცველები“. ახლა ესენი ერთად იცავენ რევოლიუციას გერმანიის წინააღმდეგ.

ესენი შეადგენდენ უმეტესობას ამ კონფერენციაზე, რომელიც დაიწყო 7 მაისს და გათავდა 12 მაისს. კონფერენციას არ დაესწრო მხოლოდ პლეხანოვი და მისი პატარა წრე. ის მოიწვიეს, როგორც „შრომის განმათავისუფლებელი ჯგუფის“ დამაარსებელი. ის არ წავიდა ამ სახით, მოვიდნენ მარტო ვ. ზასულიჩი და ლ. დეიჩი. დეიჩმა ორიოდე სიტყვა თქვა, უგულოთ მოისმინეს. იგრძნო ეს მაშინვე და გაათავა. როგორც გავს, ეს ჩემ თავს ვერ ჩავთვლი [illegible] ამიტომ გემშვიდობებით. ვ. ზასულიჩი თითქმის ბოლომდის ესწრებოდა კრებებს, არა უთქვამს რა.

კონფერენციამ მიზნათ დაისახა გაერთიანება ყველა იმ მენშევიკური ჯგუფების, რომლებიც ომის და ზავის საკითხში პლეხანოვს მარცხენა მხრივ უდგანან. ამ პატარა ანგარიშში მინდა მოგიყვეთ, როგორ და რანაირათ განხორციელდა ჩემი თვალის [illegible] მიზანი.

[illegible] ვთქვათ ჯერ, რომ კონფერენცია იყო [illegible]ათ მოწვეული და მის მუშაობასაც [illegible]და. ადგილობრივი ორგანი[illegible] [illegible]მადგენელნი მოუმზადებლათ [illegible]ახვევს. ამიტომ აკლია შინა[illegible] [illegible] დადგენილებებს. [illegible]ლი დროებითი მთავრო[illegible] [illegible] წერილები და წყობისას [illegible]ს და იქვე, რომ მთა[illegible] [illegible]ებული გახდა, რევო[illegible] [illegible] ეს აუცილებ[illegible] [illegible] საგარეო და სა[illegible] [illegible]ლა დაადგება ისეთ [illegible] შეერთება საერთა[illegible] [illegible]ემოკრატიის ინტერ[illegible] [illegible] ამავე საგანზე ორგ[illegible] [illegible]ნილს მოხსენება. კა[illegible] [illegible] ორი უკიდურესი მიმართულება. მარჯვნიდან ამბობდნენ—სამინისტროში ჩვენი ამხანაგების შესვლა საჭირო იყო და ახლა ამ ახალ მთავრობას სრული ნდობა უნდა გამოუცხადოთ, თავიდან ბოლომდის და ყოველ-მხრივ მხარი უნდა დავუჭიროთო. მარცხნიდან (ეს იყო ლარინის პატარა ჯგუფი) გვიმტკიცებდნენ,—მთავრობაში მონაწილეობა ჩვენი საქმე არ არის, იქ შესულ სოციალისტებს ვიღარც ამხანაგებათ ვცნობთ, ვერც მხარს დავუჭერთო. იყო კიდევ ორი მიმდინარეობა. ერთი—პოტრესოვის მარჯვენა მხარეს უახლოვდებოდა, მეორე—ერმანსკის მარცხენას ეკედლებოდა.

მე არ მომწონდა არც ერთი უკიდურესობა. მე ვფიქრობდი, რომ სამინისტროში შესვლა არ იყო აუცილებელი, შეიძლებოდა ამ ხიფათის თავიდან აცილება, მაგრამ როცა მოხდა ეს არა სასურველი ფაქტი, აღარ მოხერხდება ზურგის შექცევა და პილატესავით ხელების დაბანა. ახლა ჩვენ ამ ახალ მთავრობას მხარი უნდა დავუჭიროთ განსაზღვრული პირობებით. მხარს დავუჭერთ იმ შემთხვევაში თუ ის საგარეო პოლიტიკაში მტკიცეთ დააყენებს ზავის საკითხს და ხელს შეუწყობს ომის მალე გათავებას. ასეთივე სიმტკიცის გამოჩენა საჭიროა შინაურ პოლიტიკაშიაც. ამ აზრს ვატარებდი სხვათა შორის იმ კომისიაში, რომელსაც უნდა შეედგინა საბოლოოთ მისაღები რეზოლიუცია. სხვადასხვა ნაირი მიმდინარეობის შემაერთებელი რეზოლიუცია გამოვიდა მიკიბულ-მოკიბული. იქ ნათქვამია, რომ სამინისტროში შესვლა გამოწვეული იყო რევოლიუციის ინტერესებით და ჩვენ ამას არ უნდა მოვაკლოთ არავითარ პირობებში ჩვენი თანაგრძნობა, ყოველ შემთხვევაში სრულათ და ბოლომდის უნდა დავუჭიროთ მხარიო. იქვეა ნათქვამი, რომ ახალმა მთავრობამ უნდა გაატაროს საერთაშორისო დემოკრატიის ინტერესების შესაფერისი საგარეო პოლიტიკაო. ბოლოს სწერია იმავე რეზოლიუციაში, რომ ამხანაგი მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარტიის წინაშე და პარტია თავის უფლებათ იტოვებს კრიტიკის სრულ თავისუფლებასო.

ცხადია, რომ რეზოლიუციას თავი ვერ ებმება ბოლოს. თუ მე ყოველ შემთხვევაში მხარს ვუჭერ, მაშინ თავისუფალი კრიტიკა საჭირო აღარ არის, და თუ ამ კრიტიკას მაინც ვეწევი ალბათ იმ მიზნით, რომ ზოგ შემთხვევაში მხარი დავუჭირო, ზოგში არა. რა უქნა, ეს დიდი პრინციპიალური საკითხი არ დაიძლევა პიროვნულ ნიადაგზე. კაკი წერეთელი ჩვენთვის ისეთი ძვირფასი პიროვნებაა, რომელსაც უზომოთ ვენდობით, მაგრამ ისტორიული მოვლენის ჯეროვან დაფასებაში ჩვენ ყოველთვის სხვა საზომს ვხმარობთ. არ შეიძლება ობიექტიური პირობების ჩვენს ნებაზე გადაბრუნება.

ვხედავთ აგერ მაგალითად, რომ ზავს არსაიდან ეძლევა თავი, რუსეთის მთავრობას, იქნება, ადვილათ შეუძლია ხელი აიღოს დაპყრობით მიზნებზე, იქნება ჩვენი ბურჟუაზია არ მოინდომებს სხვისი ადგილების წართმევას და შემოერთებას. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები კი არ მოიქცევიან ასე, ასე ადვილათ არ შეელევიან თავის სამხედრო პროგრამას. ამ იმპერიალისტებთან ჩვენ ძველ მთავრობას ხელშეკრულება აქვს. არავინ არ იცის ახლაც ამ ხელშეკრულების შინაარსი. შეუძლია ახალ მთავრობას, რომ გავლენა იქონიოს მოკავშირეებზე და გადაასინჯვინოს ეს პოლიტიკური ვექსილები? კ. წერეთელს იმედი აქვს, რომ ეს მოხერხდება მოკლე დროში. იქნება ვცდები, მაგრამ მე არ მაქვს ამის იმედი. მე მგონია ინგლის-საფრანგეთის მთავრობა ძალდაუტანებლათ არ მოინდომებს ძველ ხელშეკრულების გადახედვას და გადასხვაფერებას. ძალდატანება კი შეუძლია იქაურ დემოკრატიას. ეს უნდა მოითხოვოს ინგლისის და საფრანგეთის მუშათა კლასმა თავ-თავის მთავრობის. ამ მოძრაობის გამოსაწვევათ, მე ვფიქრობ, მინისტრის პორთფელს არ ექნება დიდი მნიშვნელობა. მოკავშირე იმპერიალისტებმა თავისუფლათ შეხედეს ჩვენი ახალი მინისტრების საგარეო პროგრამას. რიბომ თქვა საფრანგეთში,—დიისეულ ზავს მაშინ ჩამოვაგდებთ გერმანიისათვის, როცა ის იძულებული იქნება მიიღოს ჩვენი პირობებიო. ასკვიტი ამბობს ინგლისში,—ჩვენც ისეთივე სამართლიანი ზავი გვსურს, როგორც რუსეთის დემოკრატიულ მთავრობას, ჯერ კი უნდა ვეცადოთ, რომ გერმანიას ხელი ავაღებინოთ უსამართლობაზეო.

ერთი სიტყვით, ინგლისში და საფრანგეთში პირდაპირ პასუხს არ იძლევიან. ჩვენი ახალი მთავრობის საზავო ხმა ჯერ რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ომი კი გრძელდება [illegible]. ვაი თუ გერმანიამ ჯერ მოკავშირეები გაიროს, მერე აქ დაგვეცეს თავზე,—გაისმის პეტროგრადის მუშათა საბჭოში, და ემზადებიან თავდასაცველათ. თავდაცვა ახლა უფრო აქტიურათ აქვთ წარმოდგენილი. თავდასაცველათ საჭიროა ახლავე თავდასხმითი ომის დაწყება აქეთა კუთხიდანო. ამას ვერ ამბობდნენ მილიუკოვი და გუჩკოვი. ჯარი არ ენდობოდა ამ ყოფილ მინისტრებს. ამას ამბობენ ახლა რევოლიუციონური დემოკრატიის მოწინავე ორგანიზაცია და დემოკრატიული სამინისტრო, ის სამინისტრო, რომელშიაც შედის კ. წერეთელი. კარგი სურვილი არ კმარა გარემოების შესაცვლელათ. პირიქით, გარემოება პირდაპირ აბრუნებს კარგ სურვილებს. ასე მართლდება მარქსისტული თეორია და ასე არ მართლდება ის ტაქტიკა, რომელმაც ჩვენ სამინისტროს კარებამდის მიგვიყვანა.

აღარ მოხერხდება უკან დაბრუნება, არც ერთ ალაგას გაჩერება. თამამი ამხანაგები მიდიან წინ. დანი ამბობდა კომისიაში,—დიდ დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი მხრივ, რომ გერმანიის საზღვრებზე ჯარი არ მიგვყავს და იერიში არ მიგვაქვსო. ამავე აზრებს ვკითხულობ პეტროგრადის მუშათა საბჭოს „უწყებებში“ აქეთა საზღვრებიდან თავდასხმას ხელს უშლის ძმობილობა (братание), რომელიც ამ ორ თვეში ფეხს იკიდებდა. იქ, სადაც აქამდის სროლა იყო გამართული. კონფერენციამ ანგარიში გაუწია ამ მოვლენას და თქვა,—ამნაირი ძმობილობით ომი მაინც არ გათავდება და ამიტომ ეს საშუალება არავის არ უნდა ვურჩიოთო.

მე წინააღმდეგი ვიყავი ამ რეზოლიუციის. არც მე მიმაჩნია საერთაშორისო ზავის საშუალებათ ის, რასაც „ბრატანიეს“ ეძახიან, მაგრამ საზღვარგარეთულ ამხანაგებში ეს დადგენილება ეჭვს გამოიწვევს. იქაური იმპერიალისტები ამას შოვინისტურათ გამოიყენებენ, ეტყვიან მუშებს, შეხედეთ, იქიდან გემუქრებიან, ომის გაგრძელებას გპირდებიან თქვენც იმათ მაგალითს უნდა მიბაძოთ, ზავზე ნუ იოცნებებთო. არ შევუშინდებოდით ამ რეზოლიუციას, რომ ომის წინააღმდეგ ახლავე ბრძოლას ვეწეოდეთ. არ ვეწევით ბრძოლას, ვუცდით ვიღაცას, რაღაცას. ცდაში დრო მიდის. ამ დროს ამისთანა რეზოლიუციების გამო იქიდან უნდობლათ შემოგვხედავენ. უნდობლობა კი ხელს არ შეუწყობს საერთაშორისო კავშირების გამთელებას, თუმცა კონფერენციამ საჭიროთ იცნო ამ კავშირების გამთელება იმ დადგენილებაში, რომელიც შეეხება ომს.

დანის მოხსენება ამ საკითხზე შედგებოდა ორი ნაწილიდან. თეორეტიულ ნაწილში ის ამტკიცებდა, რომ ომის გათავება შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო ფარგლებში, არ არის სასურველი არც გამარჯვება არც დამარცხება არავისი, ვინც უნდა გაიმარჯვოს, სულ ერთია, ამას რეაქცია მოყვება და ისევ მონარქიული მოძრაობა მოიკიდებს ფეხსო. ამიტომ ჩვენ ერთად ერთი გზა გვაქვს, ეს არის საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანება და მარტო ამ ნიადაგზე უნდა ვიმუშაოთ, რომ შევაჩეროთ ომი და გავსკვნათ მკვიდრი ზავის საძირკველიო. პრაქტიკულ ნაწილში კი მომხსენებელი გვერდს უხვევდა ამ თეორეტიულ დებულებებს. აქ ის კითხვას მარტო რუსულათ ეხებოდა. ასე თუ ისე ჯერ ჯერობით ომი გრძელდება და რა ვქნათ, სანამ გრძელდებაო. ჯერ საჭიროა ისევ თავდაცვა, ჯარი უნდა მოვამზადოთ ისე, რომ შეიძლოს აქტიური მოქმედება—თავდაცვა და თავდასხმაცო.

ხ. დევდარიანი.

(დასასრული იქნება).

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 28—30 მაისი.)

ფინლიანდიელების სეიმის უფლებათა გაფართოება.

ჰელსინგფორსი. გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა კანონპროექტი გაფართოებულ იქნას ფინლიანდიის სენატის უფლებები. გაზეთების აზრით ეს ერთი ნაბიჯია ფინლიანდიის სრული დამოუკიდებლობის განხორციელებისაკენ გადადგმული.

გლეხთა ყრილობა.

პეტროგრადი. სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობა გათავდა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა წერეთელმა, რომელმაც სასტიკათ დაჰგმო კრონშტადტელების მოქმედება. მას შეეკამათა ბოლშევიკების წარმომადგენელი. ყრილობამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომ კრონშტადტელების ასეთი მოქმედება რევოლიუციისთვის ფრიად მავნებელია.

დამფუძნებელ კრების მოწვევის მომწყობ თათბირის კრება.

დამფუძნებელ კრების მოწვევის მომწყობ თათბირის კრებაზე განიხილეს საკითხი პასიური და აქტიური საარჩევნო უფლების შესახებ. კომისიის თავჯდომარე კოკოშკინმა განაცხადა, რომ ხნოვანობის შესახებ კომისია ორ აზრს დაადგა, ამიტომ მოხსენებლათ ორი კაცი გამოვა. პირველი მომხსენებელი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი დაბეჯითებით მოითხოვდა 18 წლის ცენზს, რადგან მისი აზრით ამ წლის მუშები და გლეხები სრული დამოუკიდებელნი არიან, გარდა ამისა ჯარში გაწვეულია 18 წლიანები და არ შეიძლება ჯარს საარჩევნო უფლება წავართვათ, რადგან ეს უსიამოვნობას გამოიწვევს. მეორე მომხსენებელი გლეხთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი სოროკინი მოითხოვდა არჩევნების დროს ხნოვანებას არ მიექცეს ყურადღება. კამათში მონაწილეობა მიიღეს ვინავერმა, ვიშნიაკოვმა, ბრუსოვმა, მაკლაკოვმა, ბარბაშინმა, მიაკოტინმა და სხვ. ხმის უმეტესობით მიიღეს გრუზენბერგის შესწორება, რომ იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ნამდვილ სამსახურში არიან საარჩევნო უფლება ეძლევათ, მიუხედავათ წლოვანებისა. შემდეგ კენჭი უყარეს წლოვანების ცენზს და ხმის უმეტესობით მიიღეს ოცწლიანი ცენზი.

დროებითი მთავრობის ბრძანება.

დროებითი მთავრობის ბრძანებით ადგილებიდან დაითხოვეს ამურის მხრის გენ-გუბერნატორი გონდატი, შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრი იაბლონსკი, გუბერნატორები: ხარკოვის კელეპოვსკი, ლიფლიანდიის შიდლოვსკი და ვოლოგდის არაპოვი.

კომისარების თათბირი.

მსხვილ ქალაქთა კომისარების თათბირმა დაადგინა, რომ მილიციის უფროსები უნდა აირჩიონ ქალაქის საბჭოებმა სამი წლით. მილიციის უფროსი, მისი თანაშემწენი, ინსპექტორები, რაიონის უფროსები და მათი თანაშემწეები უნდა იყვნენ საშუალო განათლების. მილიციაში მოწვეულებს არ მიიღებენ. მილიციის ორგანოები თავისუფალი არიან სასამართლოს და სხვა დაწესებულების დავალების შესრულებისაგან.

დეზერტირების წინააღმდეგ.

სევასტოპოლი. სასტიკი ზომები მიიღეს დეზერტირების წინააღმდეგ. ჯარისკაცებს იჭერენ სადგურის უფროსები. სოფლელები დახმარებას უწევენ დეზერტირების დაჭერაში.

ჯარისკაცთა დეპუტატის დახაფლავება.

ტამბოვი. დიდის ამბით დაასაფლავეს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრი ჯარისკაცი ასტაპოვი, რომელიც შემთხვევით მოჰკლეს თავის მოვალეობის შესრულების დროს.

ინციდენტი ჯარში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ტეხნიკ ანდრეევის მოკვლის თაობაზე დაჭერილი ორი ჯარისკაცი გაანთავისუფლეს, რადგან ეს მოითხოვა მთელმა პოლკმა. ეს შეატყობინეს სამხედრო მინისტრს კერენსკის, რომელმაც სასწრაფო დეპეშა გამოგზავნა. წინადადება მიეცით პოლკს 24 საათში ჩაგაბარონ დაჭერილები, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლკი დაშალეთო, 24 მაისს მოხდა პოლკის საზოგადო კრება. დაესწრენ პოლკის უფროსი, პროკურორი და გარნიზონის აღმასრულებელ კომიტეტის წევრები. კრებამ ერთხმათ დაადგინა—დაემორჩილონ კერენსკის ბრძანებას. განთავისუფლებული ორი ჯარისკაცი თავის ნებით დანებდა მთავრობას.

პეტროგრადი. სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო გენერალ შერბაჩოვისგან: თანახმათ განკარგულებისა რუმინიის ფრონტზე უნდა დაშლილიყო სამი დივიზია. ეს ბრძანება გადაეცით პოლკებს. მას არ დაემორჩილა სამი პოლკი. არავითარმა რჩევა-დარიგებამ ამ ჯარისკაცებზე არ გასჭრა, მათ დაიჭირეს პოლკის უფროსი და შვიდი აფიცერი, პაგონები ააგლიჯეს და სცემეს. არმიის კომიტეტმა გადასწყვიტა სასტიკი ზომები მიიღოს მათ წინააღმდეგ. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მიანდვეს კავალერიის გენერალს, რომლის განკარგულებაში იყო ორი დივიზია კავალერია, ორი ბათალიონი ქვეითი ჯარი, მსუბუქი ბატარეია, ჯავშნოსანი დივიზია და 3 ეროპლანი, 25 მაისს გენერალმა ულტიმატუმი დაუყენა პოლკის მეთაურს. პორუჩიკ ფილიპოვს დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვენ სადაც უბრძანეს და სიტყვა მიეცათ, რომ მომავალში სინდისიერათ შეასრულებდენ თავიანთ მოვალეობას. ულტიმატუმის გადასაცემათ გაგზავნილი იყვნენ დელეგატები. საღამოს ერთი დელეგატი მოვარდა ავტომობილით და მოახსენა, რომ თითქმის პოლკი მზათ იყო დათანხმებულიყო, მაგრამ გამოვიდა ფილიპოვი და ჯარისკაცები აალელვა, მიუწოდა მათ იარაღი აეღოთ ხელში. რადგან საქმე საშიშ ხასიათს ღებულობდა ორი ესკადრონი და ორი ბათალიონი ქვეითი ჯარი სოფლისკენ დაიძრა. შევიდნენ თუ არა სოფელში პოლკი დათანხმდა ყველა პირობებზე, ფილიპოვი და სამი მისი ამხანაგი ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან გაბრაზებულ ჯარისკაცებს და ავტომობილით შტაბში გაგზავნეს. ავტომობილს თოფები დაუშინეს. დაიჭირეს 200 ჯარისკაცი. გამოძიება სწარმოებს.

რკინის გზის ტარიფის გადიდება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა გაადიდოს საგზავრო ტარიფი 50 პროც. და საბარგო—200 პროც.

ახალი მინისტრ პრეზიდენტი.

სტოკჰოლმი. ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, ახალმა მინისტრ პრეზიდენტმა გრაფმა ესტერგაზიმ განაცხადა, რომ ის განახორციელებს საარჩევნო უფლებათა რეფორმას და განაგრძობს თავის მოღვაწეობას სოციალურ რეფორმისთვის, ხოლო ომის დროს ყოველივე პოლიტიკას თავს დაანებებს.

ადამიანის და მოქალაქის უფლებათა ლიგის დადგენილება.

პარიზი. ადამიანის და მოქალაქის უფლებათა ლიგამ დაადგინა გააფრთხილოს ყველა აგიტაცია არ გასწიონ პეტროგრადის მთავრობის წინააღმდეგ. ომის მიზანი აშკარაა, ზავი უანექსიოდ, მაგრამ წართმეულის დაბრუნებით; ზავი უკონტრიბუციოდ, მხოლოდ ზარალის ანაზღაურება, და ხალხის თვითგამორკვევის უფლება.

ახირებული მთავრობა.

ტამბოვი. კირსანოვში ვიღაც ვაჭარმა ტრუნინმა თავი გენერალ პროკურორათ გამოაცხადა და მთელი ქალაქი და მაზრა მთავრობის გარეშე დააყენა. მის მხარეზე გადავიდნენ ზოგიერთი ჯარის კაცები, რომლებსაც ტრუნინმა ღვინო და თამბაქო დაურიგა [illegible]. ქალაქის კომენდანტათ დანიშნეს [illegible]. ინტელიგენცია ქალაქიდან გადის. მდგომარეობა საშიშია.

საზარელი ხანჯალი.

ხარკოვი. 7 მაისს ს. [illegible]ში საზოგადო ლოცვის დროს [illegible] გრიცენკომ დაამტვრია წმ. ნიკოლოზის ხატი. ბლაღოჩინის და მღვდლის წინადადებით გრიცენკოს შეშლილით სიკვდილი გადაუწყვიტა სამაზრო კომიტეტმა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. გრიცენკომ საშინელ წვალებაში დალია სული. ჯარისკაცები მოითხოვენ საქმის გამოძიებას.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 30 მაისი. დასავლეთის ასპარეზზე, სოფ. მევრიშკის რაიონში ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის ბანაკში ცეცხლი გააჩინა. აქ დაბანაკებული მოწინააღმდეგეს სამხედრო შტაბი იძულებული გახდა დასახლებული სოფელი დაეტოვებია. პინსკის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. დიკოვიჩის მახლობლათ მტრის ჯარს ზარბაზნის ყუმბარები დავუშინეთ და მათ ზიანი მივაყენეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებით სროლაა.

კავკასიის ფრონტზე კასრი შირინის აღმოსავლეთით ქურთთა რაზმები ჩვენს სამხედრო ტრანსპორტს თავს დაესხნენ, იერიში მოვიგერიეთ.

ჰაეროპლანების ბრძოლა.

იაკობშტატის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანიის არტილერიის ყუმბარამ ჩვენი ჰაეროპლანი ჩამოაგდო; მფრინავი კაპიტანი კურილოვი დაიმსხვრა. ჩვენი ჰაეროპლანი ჩამოაგდო მტერმა აგრეთვე მაღაჩის ჩრდილო-დასავლეთით, შჩარის რაიონში.

პარიზი. 24 მაისი. კურსის მახლობლათ მტრის რაზმები ჩვენს საყარაულოს ორჯელ თავს დაესხნენ, მაგრამ ორჯელვე მათი იერიში მოვიგერიეთ. ფრონტის სხვადასხვა ადგილებში საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით სროლამ სასტიკი ხასიათი მიიღო კორნილიეს მაღლობებთან.

იპრის მახლობლათ საარტილერიო სროლა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ლონდონი. 29 მაისი. იპრის სამხრეთ რაიონში მტერმა ჩვენს სანგრებს ყუმბარები დაუშინა. მდ. სუშეს რაიონში მტერს თავს დავესხით.

ლონდონი. 30 მაისი. ლაპოტერის ფერმის მახლობლათ ერთი მილის მანძილით წინ წავიწიეთ და მტრის სანგრების მთელი წყება დავიკავეთ. აქ ტყვეები წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ 7 საველე ზარბაზანი.

ახალი ამბები

ამხ. რაჟდენ (პიზა) არსენიძე ახლა თავს უკეთ გრძნობს. ექიმების სიტყვით ის მოკლე ხანში გამოკეთდება.

◆ **თფილისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.** სთხოვს თფილისის ყველა რაიონების კოლექტივებს, რომ ხამი ივნისისათვის აუცილებლათ წარმოადგინონ პარტიის წევრთა რიცხვის რაოდენობა, ეს ცნობა საჭიროა მომავალ პარტიული ყრილობისათვის.

◆ დაატუსაღეს ექიმი ლორთქიფანიძე, მას ბრალდება სახელმწიფო ჯაშუშობა.

◆ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის 30 მაისის სხდომაზე დაადგინეს, შემოღებულ იქნას ყველგან საქალაქო დებულებანი, სადაც შეკვეცილი იყო, შემოღებულ იქნას მთლიანი.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა კომისიის წევრებს** მუშათა სექციის საქმეთა მწარმოებელი მოაგონებს საბჭოს ყველა წევრებს, ვისაც საწევრო ბარათები არ აუღიათ, მოვიდნენ სასახლეში 10—3-მდის და 6—8-მდის ბარათების მისაღებათ.

◆ მუშათა კომისიის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე, ა. ზურაბოვმა მოხსენება გააკეთა იმის შესახებ, რომ ყოფილი მეფის ნაცვლის სტამბაში აღმოჩნდა საბეჭდავი მანქანა, რომელზედაც იბეჭდებოდა სოც.-დემოკრატიული არა ლეგალური გაზეთი „ბრძოლა“ და სხვა ბროშურები და რომელიც მთავრობამ აღმოაჩინა 1906 წელს მიწის ქვეშ, ავლაბარში. კრებამ დაადგინა აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს წინადადება მიეცეს ეს მანქანა იქიდან წაღებულ იქნას.

◆ ერთი თვის წინათ თფილისის მუშათა საბჭოსაგან მოცემული საწევრო მოწმობა დავკარგე. მე კი ეს ორი თვეა რაც ლოგინათ ვწევარ მძიმე ავადმყოფობის გამო. ვშიშობ ჩემი სახელით ბოროტათ არავინ ისარგებლოს. თფილისის მუშათა საბჭოს წევრი ივანე გიტოს ძე ალიხანოვი.

◆ 30 მაისს შედგა კრება მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტისა. კრების წესრიგი შემდეგი იყო: პრეზიდიუმის არჩევნები და კომისიის მოხსენება. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ნ. ჟორდანია თავმჯდომარე, ერაძე და მახარაძე თავმჯდომარის ამხ., ცინცაძე მდივანი. შემდეგ მოხსენებისა არჩეულ იქნა 3 კაცი ბორჯომსა და აბასთუმნის ხელოვნურ ნაწარმოებთა შენახვისა და დაცვისთვის. ამ კომისიაში შევიდნენ: ი. დაშკი, როხლინი და ქ-ნი ესსენი, ამათ უფლება ეძლევათ კოოპტაციისა.

◆ **თ. კიკვაძის ლექცია.** 24 მაისს, მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში, ვერის [illegible]

თა კრებაზე ამხ. თ. კიკვაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „საზოგადოებრივი განვითარება და სოციალიზმი“. ხალხი ბევრი დაესწრო.

◆ **საეთნოგრაფიო საღამო-კონცერტი** კოტე ფოცხვერაშვილისა, რომელიც გუშინ შესდგა სახელმწიფო თეატრში, დღეს პირველ ივნისს სავსებით განმეორდება იაფფასებით სახალხო სახლში. იხილე განცხადება პირველ გვერდზე.

◆ **თფილისი.** სამშაბათს, 23 მაისს უსაქმოთ მყოფ თამბაქოს ქარხნების მუშების ყრილობა მოხდა ხოჯივანქის სასაფლაოზე ამხ. დ. პიკოვსკის თავმჯდომარეობით. რადგანაც კიდევ ბევრი აკლდათ ამხანაგები გადაწყვიტეს კრება გადაედოთ სხვა დროისათვის და მოიწვიონ აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი და თამბაქოს ქარხნებიდან რამდენიმე ამორჩეული მუშა. დრო შემდეგი კრებისა ცალკე გამოცხადდება.

◆ დიდი-თიანეთიდან ქალაქის კომიტეტს მოუვიდა შემდეგი დეპეშა: დიდი-თიანეთის გლეხთა და სხვა სოფლების გლეხთა მიერ იჯარით აღებულ მიწაზე, სადაც დათესილია: პური, კარტოფილი და სხვა, მანგლისში მოსულმა ახლიანის გიორგიევის პოლკმა გადაწყვიტა ჩამოერთვას გლეხებს ეს დამუშავებული მიწა და ზედ საქონელი გაუშვას. გთხოვთ მიიღოთ განსაკუთრებული ზომები და დაგვიცვათ გაჭირვებისაგან და მოსალოდნელი შიმშილისგან. გლეხთა მიერ არჩეულნი: თასიაშვილი, ჩ ნჩალ ძე.

◆ **მეოთხე რაიონის კოლექტივი** სთხოვს ამ რაიონის ყველა პარტიულ წევრებს მობრძანდენ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. 1 ლი საქალებო გიმნაზია) და მიიღონ საწევრო ბარათები, ნაცვლად კვიტანციებისა. კვლავ მოვაგონებთ ამხანაგებს, რომ ვისაც აქვს კვიტანციის წიგნები და ფული დაჩქარებით შემოიტანონ ბიუროში. ბიურო ღიაა დილის 10—3 საათ. და საღ. 6—7 საათამდე.

◆ მუშათა კომისიის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა პროპაგანდისტთა კოლეგიიდან გამოეყოს სექცია წიგნების და ბროშურების გამოსაცემათ და საზოგადოთ საგამომცემლო საქმის გასაფართოებლათ. ამ კომისიაში შედიან: კარაჯიანი, ჩიხლაძე, დაშკინი.

◆ 30 მაისის მუშათა კომისიის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე მსჯელობა იქონიეს ავადმყოფ პოლიტიკურთათვის სანატორიის მოწყობის შესახებ. რადგან საერობო კავშირი დაპირებულია, რომ ის მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მის მოწყობაში, დაადგინეს, რომ არჩეულმა კომისიამ მოახდინოს მოლაპარაკება საერობო კავშირთან. გადაწყდა იქონიონ 50 ლოგინი აბასთუმანში და 50 იც ბორჯომში. აღძრულ იქნა კითხვა იმის შესახებ თუ არა კავკასიელებსაც ექნებათ უფლება ამ სანატორიით სარგებლობისა. ეს კითხვა გადაეცა განსახილველად კომისიას.

კრებები და მიტინგები.

თფ. ქალთა საზ. მეხუთე უბნის სარაიონო განყოფილების მორიგი კრება დანიშნულია დღეს საღ. 8 საათზე. განხილული იქნება „სოც.-დემოკრატების“ პროგრამა. ბინა: ხარფუხი, სურფ-სარქისი ქ. № 48.

რუსეთის ამბები.

სუხომლინოვის საქმის საბრალმდებო ოქმი სუხომლინოვის შესახებ გამოძიება დასრულდა. საბრალმდებლო ოქმი შემდეგია:

1) სამხედრო მინისტრათ ყოფნის დროს, როცა ის ვალდებული იყო თვალყური ედევნებია სამხედრო საქმეებისთვის, მან საჭირო ზომები არ მიიღო სახაზინო ქარხნების წარმოების გასაუმჯობესებლათ. ამით მან ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ ომის დროს ჯარს საომარი მასალა შემოაკლდა. ეს დანაშაულობა საგამომძიებლო კომისიის აზრით ექვემდებარება კანონდებულების 108 სტატიის 16 ან მეორე და მესამე მუხლს.

2) სუხომლინოვმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია საარტილერიო სამართველოს, რომელსაც ჯარისთვის საომარი მასალა უნდა მიეწოდებია. სუხომლინოვს ფეხებზე ეკიდა აკეთებდა რამეს ეს დაწესებულება თუ არა. 1910 წელს სამხედრო უწყებამ გამოიანგარიშა რამდენი ტყვიის მფრქვეველი იყო საჭირო, სუხომლინოვმა ის არ გადაათვალიერა და არავითარი ზომები არ მიიღო, რომ საარტილერიო სამმართველოს თოფის წამლის და ასაფეთქებელ ნივთიერებათ ქარხნებს გაეფართოვებიათ წარმოება. მიუხედავათ იმისა, რომ ომის დაწყებამდე საკმაო იარაღი არ იყო დამზადებული, სუხომლინოვმა ზომები არ მიიღო, რომ საარტილერიო სამმართველოს დაემზადებია საკმაო იარაღი. ეს ბრალდებები ექვემდებარება სასჯ. დებ. მე 341, 142, 144 და 145 სტ.

3) 1914 წლის 14 დეკემბერს როცა მან ყოფილ იმპერატორს მოახსენა თუ რა მიზეზები იყო, რომ დროზე ვერ დაამზადეს შნეიდერის სისტემის ზარბაზნები, მან განზრახ დამალა ნამდვილი მიზეზი, რომ ეს მისი ბრალი იყო, რადგან თვით მან შეაჩერა ამ ზარბაზნების კეთება პირად სარგებლობისთვის. ეს ბრალდება ექვემდებარება სასჯ. დებ. 1062 სტ.

4) 1915 წლის 10 თებერვალს მინისტრთა საბჭომ დაადგინა ხელი შეეწყოთ დაარსებიათ რუსეთში იარაღების ქარხანა და შეეკვეთათ მისთვის 3 მილიონი თოფი. დეტალურათ ეს უნდა შემუშავებია სამხედრო მინისტრს და შემდეგ წარედგინა მინისტრთა საბჭოსთვის გადასათვალიერებლათ. სუხომლინოვი კი სხვაფრივ მოიქცა, მან პირდაპირ მიანდო ინჟინერ ბალინსკის ქარხნის გაკეთება.

5) 1911 და 1912 წელს სხვა პირებთან შეთანხმებით სუხომლინოვი აძლევდა საიდუმლო ცნობებს პოლკოვნიკ მიასოედოვს, რომელიც გერმანიის აგენტი იყო. ეს ბრალდება ექვემდებარება სასჯ. დებ 51 და 111 სტ.

6) ასეთივე საიდუმლო ცნობებს აწვდიდა სუხომლინოვი ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომ ალტშულერს. ის იქამდე მივიდა, რომ თითქმის დაწვრილებით აცნობდა ალტშულერს თავის მოხსენებას.

ომის დაწყებისას მან მისცა მიასოედოვს წერილი, რომ ის წინააღმდეგი არ იყო მისი სამხედრო სამსახურში მიღების.

7) 1912 წლის 16 მაისს მან განზრახ მოათავსა წერილი „რუსკი ინვალიდ“-ში, სადაც განაცხადა, რომ მიასოედოვს არავითარ სამხედრო საიდუმლოებასთან დამოკიდებულება არა აქვსო. სუხომლინოვის ცოლს ბრალათ ედება, რომ ის ეხმარებოდა თავის ქმარს მიასოედოვისთვის საიდუმლო ცნობების გადაცემაში. ის ხელს უწყობდა აგრეთვე ალტშულერთან მისი ქმრის დამოკიდებულებას. მას გაასამართლებენ როგორც სახელმწიფო ღალატის საქმის მონაწილეს.

— **პროვოკატორის გასამართლება.** ბოროვიკოვის გარდა პარტიულმა სასამართლომ ამას წინათ გაასამართლა კიდევ ორი პროვოკატორი ვიაზკოვი და გაკემანი. ვიაზკოვი მასკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფის და მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრათ იყო.

დამცველ პოლიციის განყოფილების აგენტათ შესულა ვიაზკოვი თავის ნებით. როცა მან დაინახა რომ სამხედრო სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფს საფრთხე მოელის, მან მისწერა წერილი დამცველ პოლიციის უფროსს. ის დაიბარეს და მოელაპარაკენ. მიიღეს აგენტათ და დაუნიშნეს ჯამაგირათ ჯერ 60 მ. და მერე 75 მ. ის ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდა.

სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში რომ ვიაზკოვი თვითონ დადგა დამცველ პოლიციაში, მისი მოქმედება ფრიად მავნებლათ ჩასთვალა და დაადგინა დამფუძნებელ კრებამდე ის სატუსაღოდან არ გაანთავისუფლოს.

გაკემანი ომის დაწყებამდე რამდენიმე დღის წინათ შესულა დამცველ პოლიციაში. გაკემანის დაბეზღებით დაუპატიმრებიათ და გადაუსახლებიათ რამდენიმე ს.-რევოლიუციონერი. მან განაცხადა, რომ მას უნდა დამცველ პოლიციის საიდუმლო გაეგო და ს. რევოლიუციონერებისთვის გადაეცა და იმიტომ შევიდა იქ. საქმის მომხსენებელმა განაცხადა, რომ გაკემანი არანორმალურ კაცის შთაბეჭდილებას ახდენს. სასამართლომ დაადგინა გამოიკვლიოს გაკემანის სულიერი მდგომარეობა. ბრალდებულთაგან სასამართლოში არავინ გამოცხადებულა.

დანარჩენ ბრალდებულებში მხოლოდ მარტო ექიმმა ბრაგინმა განაცხადა სურვილი დაესწროს სასამართლოში და პასუხი მისცეს.

ყრილობა

კავკასიის მუშათა საბჭოს და ორგანიზაციულათ მოწყობილ გლეხთა დეპუტატების თფილისის და ქუთაისის გუბ, სუხუმის და ყარსის ოლქებ.

კავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობამ განიხილა რა მიწის საკითხი საჭირო სცნო ახლავე გარკვეული უნდა იქნას გზა მის დამფუძნებელ კრებაზე ძირითად გადასაწყვეტათ, აგრეთვე დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზოგიერთი პრაქტიკული ზომები მიწების საქმის ადგილობრივ მოსაწესრიგებლათ.

გლეხების ეკონომიურ მონობისაგან განსათავისუფლებლათ და ქვეყნის საწარმოვო ძალთა განავითარებლათ, დამფუძნებელმა კრებამ მიზნათ დაისახა შემდეგი:

1) ყველა სახაზინო, სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო და საკაბინეთო მიწები უნდა ჩამოერთვას და საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, განურჩევლათ სქესისა და ფარული კენჭის ყრით არჩეულ ადგილობრივ ფართე თვითმართველობას გადაეცეს.

2) ნაციონალიზაცია იმ მიწების, რომლებსაც საზოგადო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

3) ის მიწები, რომლებიც გადმოსახლებულთა ფონდებს შეადგენენ, აგრეთვე მემამულეთა და კერძო პირთა მიწები, რომლებიც ადგილობრივ ფართე თვითმართველობების დაწესებულ ზომაზე მეტია, გადაეცემა ამ ორგანოებს.

4) ის მიწები, რომლებიც საჭიროა წვრილ სანადელო მიწების შესავსებათ, და ეგრეთ წოდებული ჩამონაჭრები გადაეცემათ გლეხებს უსასყიდლოთ.

5) კავკასიის ტყეები გადადის ადგილობრივ ფართე თვითმართველობების მთელი მხრის ცენტრის განკარგულებაში.

დროებით მთავრობას, დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, მიზნათ აქვს შემდეგი ზომები განახორციელოს კავკასიაში:

ა.

1) დაცვა და წესიერი ექსპლოატაცია იმ ტყეებისა, რომლებიც ღვთის ანაბარათ მიუტოვებიათ პატრონებს რევოლიუციის შემდეგ და კერძო მესაკუთრეთა ტყეები უკეთუ ზომაზე მეტია, გადაეცემა ადგილობრივ მიწების კომიტეტებს.

2) შეშისა და საამშენებლო მასალისთვის ტყის გაჩეხა ამ წელიწადში უნდა იყოს საშუალო. მიხედვით უკანასკნელი 5 წლის სარგებლობისა, ხოლო სამხედრო მასალებისთვის ზედმეტი.

3) შეშისა და საამშენებლო მასალის გაყიდვიდან შემოსული ფული, ხარჯების გამოკლებით, უნდა შეიტანონ სახელმწიფო ბანკში და იქ იქნება დამფუძნებელ კრებამდე, სადაც გადაწყდება ვის უნდა გადაეცეს ეს ფულები.

4) სახაზინო და საუფლისწულო ტყეები სოფლის აღმასრულებელ კომიტეტების კონტროლის ქვეშ გადადიან.

5) საგლეხო და სხვა საადგილ-მამულო ბანკებში ფულების შეტანა უნდა შეჩერდეს დამფუძნებელ კრებამდე, უკეთუ საჯარო ვაჭრობები დაინიშნა ადგილობრივმა მიწების კომიტეტებმა საჩქარო შუამდგომლობა უნდა აღძრან მის შესაჩერებლათ.

ბ.

1) ცარიელ მინდვრებს და სახნავ მიწების შესახებ ყველა საკითხებს სწყვეტს მომრიგებელი კამერები.

2) საუფლისწულო და სამონასტრო სახნავ მიწების დამუშავება უნდა მიენდოს ადგილობრივ მიწების კომიტეტს, რომელმაც საიჯარო ფული სახელმწიფო ბანკში უნდა შეინახოს დამფუძნებელ კრებამდე.

3) გამონაკლისს შეადგენს ის საიჯარო ადგილები, სადაც გლეხები სცხოვრობენ და იჯარის ფულს იხდიან. იჯარის ფულის გადახდა უნდა შეჩერდეს დამფუძნებელ კრებამდე.

4) სახაზინო მიწები სრულიად უსასყიდლოთ უნდა გადაეცეს ხიზნებს.

გ.

1) წვრილ მესაკუთრეთა საბალახო მინდვრები, რომლებიც საჭიროა შინაურ საქონლის საბალახოთ, ადგილობრივი მიწების კომიტეტების მიერ უსასყიდლოთ გარდაეცემა მათ.

2) იმ საბალახოების შესახებ, რომლებიც მეჯოგეებისთვის არის საჭირო, საკითხი დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთ შორის შეთანხმებით სწყდება.

დ.

1) სათიბი მინდვრების შესახებ საკითხს სწყვეტენ მომრიგებელი კამერები.

ამასთანავე ყრილობა აუცილებელ საჭიროებათ სთვლის გამოსცეს დროებითმა მთავრობამ დეკრეტი დამფუძნებელ კრების მიერ მიწების საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტამდე. შეჩერდეს მიწების ყიდვა გაყიდვა, დაგირავება და ჩუქება. შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ კომიტეტის ნებართვით იმ თანხაში დაგირავება, რომელიც საჭიროა სახარჯოთ მიმდინარე წლის განმავლობაში.

კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების სიეზდი.

(მეათე დღე, 30 მაისი).

თავმჯდომარეობს გრ. გიორგაძე.

საქალაქო და საერობო თვითმართველობათა სექციის თავმჯდომარე **კ. ნინიძე**, აკეთებს მოკლე მოხსენებას, განმარტავს თუ რა მნიშვნელობა აქვთ ხსენებულ თვითმართველობებს და მოუწოდებს დამსწრეთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქალაქის თვითმართველობის არჩევნებში და მოითხოვენ სოფლებში დაჩქარებით იქნას შემოღებული საერობო თვითმართველობა.

ნ. რამიშვილს შემოაქვს წინადადება სიეზდმა გამოიტანოს დადგენილება, რომ ამხანაგებმა მოაწყონ საქალაქო თვითმართველობა იმ ადგილებში, სადაც ამას მოითხოვენ მცხოვრებნი, მაგრამ ძველი მთავრობა ნებას არ აძლევდა. ასეთი ადგილებია მაგ. სამტრედია, ხონი, ზუგდიდი და სხ. **აკაკი ჩხენკელი** აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში უკვე დასმულია საკითხი საქალაქო თვითმართველობის შემოღების შესახებ იმ ადგილებში, რომლებიც მოკლებული არიან ასეთ თვითმართველობას და მოუწოდებს დამსწრეთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ კომიტეტებში, რომლებსაც საკითხის გადაჭრამდე გადაცემული აქვთ ქალაქის თვითმართველობის ფუნქციები.

ნ. ცერცვაძე უკმაყოფილებას გამოსთქვამს რომ მოხსენება ძალზე მოკლე იყო და არავითარ ცნობებს არ გვაძლევს დასმულ საკითხზეო. მომხსენებელი საპასუხო სიტყვაში აღნიშნავს, რომ მართალია მოკლეთ შეეხო კითხვას, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თავისთავათ საკითხი არ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას დემოკრატიაში, თორემ მას შეეძლო დაწვრილებით შეჩერებულიყო საკითხზე. ერთხმათ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ადგილობრივ საკითხთა ნაყოფიერათ გადასაჭრელათ, სიეზდი საჭიროთ სცნობს მოეწყოს ფართოთ დემოკრატიულ პრინციპებზე საერობო და ქალაქის თვითმართველობები, ვინაიდან სახეში აქვს ის გარემოება, რომ რევოლიუციურ მთავრობას შეძლება ექნება დაეყრდნოს მათ.

ამისთვის სიეზდს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია საქალაქო თვითმართველობის შემოღება იმ ადგილებში, რომელთა მცხოვრებნი მოითხოვენ ამას და მოუწოდებს ამხანაგებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა არჩევნებში.

გარდა ამისა სიეზდი გამოსთქვამს სურვილს, რომ ამხანაგებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა აღმასრულებელ კომიტეტების მოწყობაში, რომლებიც მოწოდებული არიან დროებით განახორციელონ ერობის ფუნ[illegible]“.

ამის შემდეგ ნაციონალურ სა[illegible] მოხსენებას აკეთებს **ნოე ჟორდანია**. ერი—ამბობს მომხსენებელი—წინათ დაყოფილი იყო ეკონომიური პირობების გამო ცალკე ნაწილებათ, რომლებიც ცხოვრობდენ თავის განსაკუთრებულ ცხოვრებით და არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ერთმანეთში... ვაჭრობა აღებმიცემობის განვითარებამ შექმნა პირობები ცალკე ნაწილების გაერთიანებისა, ჩამორჩენილი კუთხე მიყვა უფრო განვითარებულს და განმტკიცდა ერის მთლიანობა. ამნაირათ, ეროვნული განვითარების მამოძრავებელი არის კაპიტალიზმი. გაჩნდა ნაციონალური სახელმწიფოები, მაგრამ ის ერები, რომლებიც ჩამორჩენ სხვადასხვა მიზეზების გამო ეკონომიურ განვითარებას, მოექცენ სხვა სახელმწიფოთა ფარგალში, რამაც შექმნა ეროვნებათა სახელმწიფო. ერთი ერი გაბატონებულია ამ სახელმწიფოში, ხოლო სხვა—დაჩაგრული. მაგრამ ეკონომიური განვითარება დამონებულ ერებშიაც იკიდებს ფეხს, აქაც ჩნდებიან სხვა და სხვა კლასები. ეს იწვევს გაბატონებულ და დამონავებულ ერთა შორის ეკონომიურ-პოლიტიკურ სფეროში წინააღმდეგობას და აქედან იწყება ნაციონალური საკითხიც... ერში ახალ მოძრაობის მატარებელია ბურჟუაზია. რომ განამტკიცოს ბატონობა, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში, მას უნდა ჩაიგდოს ხელში სახელმწიფოებრივი მექანიზმი, მაგრამ აქ ეჯახება გაბატონებულ ერის ბურჟუაზიას, რომელიც უკვე დაპატრონებია ამ მექანიზმს... როცა დამონავებულ ერის ბურჟუაზია ხედავს, რომ მისთვის შეუძლებელია გაბატონებულ ერის ბურჟუაზიას გამოსტაცოს ხელიდან სახელმწიფოებრივი მექანიზმი, ცდილობს შექმნას საკუთარი სახელმწიფო. და იბრძვის კიდეც ამ მიმართულებით ბურჟუაზია, არსდება ნაციონალური პარტია, პროგრამა, დროშა, რომ განამტკიცოს თავისი ბატონობა, დაიპყრას ბაზრები, შემოიერთოს მიწა-წყალი და სხ. ყველა ამისათვის საჭიროა ძლიერი ძალა-უფლება, აქედან მილიტარიზმისა და მარინიზმისაკენ მისწრაფება იბადება. ამნაირათ, ბურჟუაზიის პოლიტიკა აგრესიულია, ამ მხრით არ არის არავითარი განსხვავება გაბატონებულ და დამონავებულ ერთა ბურჟუაზიის შორის...

ბურჟუაზიის შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში ერევა არისტოკრატია, რომელსაც უნდა ეკონომიურ განვითარების გამო დაკარგული ბატონობა აღადგინოს სახელმწიფოებრივი მართვა გამგეობის ხელში ჩაგდებით... ჩვენი თავად-აზნაურობა, მაგ. დარწმუნდა, რომ მეფეებისათვის კერძო საჩუქრებით ვერას გახდება და ფიქრობს საკუთარ სახელმწიფოს აღდგენას... მას აქვს ისტორიული წარსული, ისტორიული ტრადიციები და ახალ ეროვნულ მოთხოვნილებასაც ამ ისტორიულ პრივილეგიებზე ამყარებს. მაშინ, როცა ბურჟუაზია გამოდის თავის მოქმედებაში ახალ წყობილებიდან, თავად-აზნაურობა ისტორიულ წარსულში იცქირება, მას უნდა თავის დაკარგულ ბატონობის აღსადგენათ ეკონომიურ ცხოვრების შეჩერება. მისი პოლიტიკა რეაქციონურია.

დაბოლოს ნაციონალურ მოძრაობაში ერევა პროლეტარიატი. მას არ შეეძლო სამშობლო ენაზე ეწარმოებია ბრძოლა ეკონომიურ-პოლიტიკურ იდეალების განსახორციელებლათ, ყველა დაწესებულებებში საქმის წარმოება გაბატონებულ ერის ენაზე ხდებოდა და იგი მძიმე ჩაგვრას განიცდიდა. აქედან წარმოიშვა პროლეტარიატის ნაციონალური იდეა, რომელიც, მაშასადამე შეკავშირებულია სამშობლო ენასთან. ნაციონალური იდეია—კულტურული იდეიაა. მას არა აქვს არც აგრესიული, არც რეაქციონური იდეიები, მისი მიზანია ისე მოაწყოს საქმე, შექმნას ისეთი პირობები, რომ შეეძლებოდეს სამშობლო ენაზე კლასიური ბრძოლის წარმოება.

ამნაირათ ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა, პროლეტარიატი იბრძვიან ნაციონალურ უფლებისათვის, მაგრამ მიზანი სხვადასხვაა, დროშა სხვადასხვა გვარია.

რადგანაც პროლეტარიატის განთავისუფლება შესაძლებელია საერთაშორისო მასშტაბით, მისი დროშაც ინტერნაციონალურია, იგი თვით არის დაინტერესებული მეორე ქვეყნის პროლეტარიატსაც ჰქონდეს ის, რაც მას აქვს, აქედან—ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ინტერესთა ერთიანობა. ამ მხრით გლეხების ინტერესები სავსებით ეთანხმებიან პროლეტარიატის ინტერესებს, ვინაიდან გლეხს კიდევ უფრო სჭირია სამშობლო ენა.

ნაციონალური საკითხის ლიბერალური გადაჭრა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მცირე ერებს მხოლოდ კანონში დაპირებით ეძლევათ გარანტია, სრულებითაც არ ასუსტებს ნაციონალურ შუღლს. და ეს იმიტომ, რომ ძალა-უფლება და, მაშასადამე, დაპირების ასრულება გაბატონებულ ერის ბურჟუაზიის ხელშია.

დემოკრატიული გადაჭრა მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ საჭიროა სახელმწიფოში დამყარდეს დემოკრატიული წყობილება და ნაციონალური საკითხიც გადაიჭრებაო. ეს არ არის სწორი შეხედულება, ეს პირობაა და არა საკითხის გადაჭრა, ვინაიდან დემოკრატიული წყობილების დროსაც ძალა-უფლება გაბატონებულ კლასების ხელში იქნება. ამისთვის მართალი არიან ისინი, ვინც პროგრამაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ნაციონალურ საკითხს; ასე იქცევა ყველა სოციალისტური პარტიები.

სახელმწიფოებრივი ავტონომია—ეს ბურჟუაზიის ლოზუნგია, მისი კლასობრივი მოთხოვნილებაა. პრო[illegible] დაინტერესებულია მხოლოდ [illegible] განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობების და არა ს
ხელმწიფოს ძლიერ მმართველობის შექმნა
აქედან იბადება თვითმმართველობის ორ
ნოთა კომპეტენციის სხვადასხვაობა. ყველ
ზე უკეთესი ფორმა კულტურულ განვითა
ბისათვის არის თვითმმართველობის და
სახელმწიფოებრივობის პრინციპი. თუ შევქმნით პირობებს კლასიური ბრძოლის სამშობლო ენაზე საწარმოებლათ—ნაციონალური საკითხიც გადაიჭრება პროლეტარული თვალსაზრისით.

თუ ამ ზოგად მოსაზრებების შემდეგ განვიხილავთ ადგილობრივ პირობებს, დავინახავთ შემდეგს. ამიერ-კავკასიაში სამი უმთავრესი ერი სცხოვრობს, ქართველები, სომხები და თათრები. უნდა შევქმნათ პირობები მათი კულტურული განვითარებისათვის, ამისთვის საჭიროა ნაციონალური მმართველობა, რომელიც შეუძლებელია ტერიტორიის გარეშე. მაშასადამე არსებობს კავშირი კულტურულ და ტერიტორიალურ საკითხთა შორის. აქ შეიძლება შევქმნათ სამი ნაციონალური თვითმმართველობა ისე, რომ მათ საზღვრებში იყოს უმრავლესობა ერთი რომელიმე ერისა. იქ, სადაც მცხოვრებლები შერეულია, თვითმართველობაც შერეული უნდა იყოს, უნდა წარმოადგენდეს კულტურულ კავშირს. მა-
შინ უმრავლესობას არ ექნება სა
ლება დაიმორჩილოს უმცირესობ
ყველას შეეძლება მიეცემა გა
საქმეებს. მაშასადამე ჩვენში შე
ორგვარი თვითმართველობა: ერთი
რიალურ-ნაციონალური, მეორე — შერე
კულტურული ავტონომიით მასში მცხოვრ
თათვის. ამიერ-კავკასიის სამ ტერიტო
ლურ ერთეულათ დაყოფა და მართვა-გ
ბის თითოეულ ერთეულში უმრავლესობ
თვის გადაცემა გაამწვავებდა ერთაშორის
მოკიდებულებას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ფედერა
და ამბობს, რომ ეს ისეთი კავშირია სახ
მწიფოთა შორის, რომელიც ნაკარნახ
ისტორიული პირობებით, ცენტრალიზმი
მისწრაფებითო. რუსეთში არ არის ასეთი
რობები, აქ რიცხვით ერები ძლიერ სხვა
ბიან ერთმანეთისაგან და მაგ. ორი
ნია, რომ კარნახობდეს მთელი სამყარ
მეექვსედს (რუსეთს) ეს უმრავლესობის
ციპის დარღვევა იქნებოდა. ფედერალ
პრინციპი ნიშნავს საკუთარ სახელმწიფო
შექმნას. ეს ბურჟუაზიული პრინციპი. რუ
სეთში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ტ
სახელმწიფოებრივი მართველობისა—საერო
რესპუბლიკა და პერიფერიებში ნაციონალ
ოლქობრივითვითმართველობა, რომელთა კომპეტენცია ასეთი იქნება: სასწავლებლების გახსნა, ყველა ადგილობრივი კულტურული საქმეები, ხალხის ჯანმრთელობა და ვეტერინარია, ადგილობრივი გზები, ადგილობრი
ვაჭრობა მრეწველობისათვის ხელის შეწყობა,
სასამართლო და ადმინისტრაცია, საუფლისწულო, სამონასტრო და სხ. მიწების ექსპლ
ატაცია, გადასახადთა აკრეფა ადგილობრი
საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, თა[illegible]ნობის უფლება და უმცირესობათა უფლებ[illegible] დაცვა. ერთი სიტყვით ადგილობრივი თვითმართველობა არჩევს ყველა ადგილობრივ კითხვებს და მოყავს სისრულეში ცენტრის მიერ გამოცემული კანონები.

ჩვენ დღესაც არ ვაყენებთ პოლიტიკურ ბრძოლის პირველ რიგზე ნაციონალურ საკითხს, მას გადავჭრით დამფუძნებელ კრებაზე. ჩვენ ვიბრძოდით და დღესაც ვებრძვით იმ პარტიებს, რომლებიც პირველ ადგილ
უთმობენ ნაციონალურ საკითხს. ჩვენ მხოლ
ვემზადებით დამფუძნებელ კრ
ახლა კი ვაწარმოებთ ბრძოლ
ხელმწიფოებრივ კითხვების გად

კიკუშვილი ერის კულტუ
რებისათვის საჭიროთ სცნობს ტე
ლურ ავტონომიას.

ს. ფედერალისტების სახელით ლაპ
ზ. ნუცუბიძე მოხსენებაში ის ხედ
ლოებას ფედერალისტების პროგრამასთა
გამოთქვამს იმას, რომ მალე სავსებით
მოგვიერთდებითო. რუსეთი, — განაგრ
ორატორი, — არ წარმოადგენს მთლიან სახ
მწიფოს და, მაშასადამე, შეუძლებელია მ
ფედერატიულათ მოწყობა. მას უკვე თხ
ლობენ სხვადასხვა ერები. მომხსენებელი ფ
რობს, რომ უმრავლესობის პრინციპი შე
ხება ამ შემთხვევაში. მიიღეთ ფედერაცი
პრინციპიალურათ და ჩვენ, ძველი ფე
ლისტები გაიწვდით თუ
დამოკიდებულება ერთ
ნაციონალურ საკითხის
ხეთქილებას შეიტანს რ
ს.-დ. შეცდომით ამბ
ლათ სომხის ბურჟუაზ
ციონალური საკითხის
ნა მობილიზაცია შ
ჯარისა. რატომ ჩვე
თხ ? უკრაინელებ
მეკითხებოდენ, რ
დებიან ჩვენს მ
ბა ნაციონალ
დაიწყება სამოქ
მე პეტროგრადი
მოსალოდნელია.

აკაკი ჩხენკელ
ბელს წავართმევ
ნუცუბიძეს, მაგრამ
შევეხო ნუცუბიძის

მოსვლაში ბევრი ვისმინეთ ფედერალისტური, ხოლო სოციალისტური კი სრულებით არა. ორატორს არ სცოდნია, რომ ჩვენს პროგრამაში აღნიშნული აქვს დათმობილი ნაციონალურ საკითხს, რომ იგი ჩვენ მარტო დღეს არ გამოგვიყენებია. მას არ სცოდნია, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლა არის იმავე დროს ბრძოლა ეროვნულ თავისუფლებისათვის. მაგრამ ჩვენ ყოველთვის პირველ რიგში ვაყენებდით და დღესაც ვაყენებთ საერთო პოლიტიკურ კითხვებს, და რამდენათაც ჩვენ განვრევდით ძველს, იმდენათ ჩვენ ვსვამდით ნაციონალურ საკითხს და არა ის პარტია, რომელიც ამ მხრით სიტყვებს ვერ გასცილებია. ამაში ჩვენს შორის დღესაც არის განსხვავება, ფედერალისტები პირველ რიგზე აყენებენ ნაციონალურ საკითხს, კერძოთ კავკასიაში საქართველოს საკითხს და სხვა საერთო საკითხები მათთვის მხოლოდ შირმაა. ნუცუბიძემ, როგორც ახლათ ჩამოსულმა, შეიძლება არ იცოდეს ყველა ეს, მაგრამ ეს მისი უმეცრებაა და არა დანაშაული. ჩვენ ვაყენებთ **თვითმართველობის** პრინციპს, მაშინ როცა ისინი აყენებენ **სახელმწიფოებრიობის** პრინციპს. ჩვენ თვითმართველობას თხოულობდით წინათაც, ეს აღნიშნულია ჩვენს პროგრამაში, მას ვიცავთ დღესაც. სიტყვა ავტონომია სადაო არის მეცნიერებაში. ამაში შეიძლება იგულისხმო როგორც სახელმწიფოებრიობა, ისე თვითმართველობა. ფედერალისტები პირველს გულისხმობენ და [illegible]ვებრიობა თავიდან ავიცილოთ, ჩვენს [illegible]ენას თვითმართველობას უწოდებთ, რომელნაც წინააღმდეგნი ვართ სახელმწიფოებრიობის.

თვითმართველობის პრინციპი დამყარებულია რუსეთის მთლიანობაზე, სახელმწიფოებრიობის კი — [illegible] დანაწილებაზე. აქ კავკასიაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კომპეტენციის საკითხს. ისინი თვითმართველობას აკუთვნებენ ისეთ უფლებებს, რომლებიც საშიში იქნება წვრილ ხალხთათვის. მაგ. სამოქალაქო უფლება, რომ[ლითაც] ბურჟუაზიას მიეცემა საშუალება შეავიწროვოს სხვა ერის წარმომადგენლები, სისხლის სამართალი, რომელიც დამცველია სამოქალაქო უფლების მიერ დამყარებულ ურთიერთობის, სოციალური კანონმდებლობა და სხ. ამას ფედერალისტები კარგად შეურიგდებიან, ვინაიდან მათ მაინცა და მაინც არ აინტერესებთ სოციალური კითხვები. სოც.-ფედ. უკანასკნელი კონფერენცია დაადგა დათმობის გზას, მან თითქმის ხელი აიღო სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე, მაგრამ ფორმას—ფედერაციას დღესაც ეღლაუჭებიან. ჩვენ კი გვინდა შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, სადაც ყველა ერები ერთად არჩევენ საერთო კითხვებს, საერთოთ სჭრიან თავის ბედს. ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა როგორც უკრაინელებთან, ისე სოციალ-ფედ. და სხვებთანაც, რამდენათაც ისინი დაიცავენ განცალკევების და არა გაერთიანების პრინციპს.

ყველა მთავარ კითხვებს არჩევს ცენტრი, ადგილობრივი თვითმართველობა ატარებს ცხოვრებაში ცენტრის მიერ გამოცემულ კანონებს ადგილობრივ კითხვების შესახებ. სადაც ტერიტორიალური ერთეული ხდება ნაციონალური, იქ თვითმართველობა არჩევს როგორც კულტურულ, ისე სოციალურ კითხვებს, უმცირესობას ეძლევა გარანტიები. ეკონომიურ, ადმინისტრატიულ და სხ. საკითხებს საქართველო აწესრიგებს სხ. ერთა დახმარებით, რომლებიც სცხოვრობენ საქართველოში, ხოლო კულტურულ საქმეებს თვითონ განაგებს და თითოეული ერი იღებს ამისათვის საჭირო ხარჯს საერთო კასიდან. ნაციონალურ საკითხის გადაჭრაში კავკასიის ყველა ერმა უნდა მიიღოს მონაწილეობა და პროგრამა უნდა გამომუშავდეს არა მარტო ქართველთათვის, არამედ ყველასათვის. ამით ჩვენ მივაღწევთ სხვა და სხვა ერთა დემოკრატიის შეერთებას—შეკავშირებას. ნუცუბიძემაც მიგვითითა ამაზე, მაგრამ ეს ლიტონი სიტყვებია. ჩვენი პლატფორმაა—დემოკრატიული რესპუბლიკა და დემოკრატიული თვითმართველობა, რომელიც შეიცავს ნაციონალურ საკითხის გადაჭრასაც.

გ. ალათიშვილი.

(დასასრული იქნება).

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ქ. ახალ-სენაკი.

16 მაისს შესდგა სოც.-დემ. მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. ტაკი ხორავა, მდივნათ ისაკი ცაავა. კრებას ამხ. ანჯაფარიძემ გააცნო რ. ს. დ. მ. პ. პროგრამა მინიმუმი. შემდეგ მოხდა პარტიის წევრების ხელმძღვანელი კოლექტივის არჩევნები ფარული კენჭის ყრით. არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: ცირუ თევზაია, ალ. ხამსახურდია, რაფიელ შარაშენიძე, ს. ხუბულაია, არტემ ლემბერია, იონა სირია და ს. [illegible]. მეორე კრებაზე, რომელიც მოხდა 22 მაისს, კრებამ იქონია მსჯელობა ტეხნიკური მხარეზე კრების მოწყობისა და მიიღო რა მხედველობაში წევრთა მრავალრიცხოვანება [illegible] შეუძლებლობა მათთან ერთად მეცადინეობისა, დაადგინა: გაყოს იგი ორ ჯგუფათ, თითეული ჯგუფი ამეცადინოს ცალკე და დრო გამოშვებით კი მოხდეს საერთო კრება პარტიული წევრებისა.

დახელი ქალი.

ჩაქვი.

18 მაისს მოხდა ჩაქვის რაიონულ ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრო 76 წევრი. თავმჯდომარეთ [illegible] ამხ. არსენ ქიქოძე, მდივნად [illegible]ულაია. კრებამ აღფრთოვანებით მიეგება ჩაქვში მუშ. პარტიის დაარსებას. ჩაქვის რაიონი ბათუმის მეხუთე რაიონული ორგანიზაციაა. კრებამ აირჩია სარაიონო კოლექტივი, რომელშიც შედიან შემდეგი პირები: ალექსანდრე გეგიძე, არსენ ქიქოძე, ქრისტეფორე იმნაიშვილი, ერემა ლორია, ტრიფონ ორმოცაძე, ივანე კავილინი, აბაზ ყურშუბაძე, ილიკო გოგავაძე, ირაკლი სურგულაძე, სერგო გოგეშვილი და სამსონ ჩხაიძე. კანდიდატებათ: ივ. კორაიდი, ლადო გორგიშია, ორაგველიძე; კოლექტივის პრეზიდიუმში შედიან ალ. გეგიძე, არსენ ქიქოძე, ქრისტეფორე იმნაიშვილი, სერგო გოგეშვილი, კავილინი. ხაზინადრათ არჩეულ იქნა ირ. სურგულაძე.

ჩახრუკული.

ხარაგაულში.

აქ დაარსდა რუს. სოც. დემოკ. მუშ. პარტია. წევრათ ბევრი ეწერება. საჭიროა შესდგეს პროპაგანდისტთა წრე, მოაწყონ ლექციები და სხვა.

19 მაისს 1917 წელს ადგილობრივმა დროებითმა კომიტეტმა ამხანაგ მუსიევის ინიციატორობით დაიქირავა ადგილობრივი პროჟექტორი, რომლის მთელი საღამოს შემოსავალი გადაეცა ადგილობრივ რ. ს. დ. მ. პარტიას. სულ შემოვიდა 1074 მანეთი და 80 კაპ. ხარჯი 203 მანეთი და 85 კაპ. დარჩა 870 მან. და 95 კ. პ. პატარა ხიმონა.

ვოლუცია პროვინციაში.

[illegible]ანდრაპ.-ოზოლეთის საზოგადოება ([illegible]რუილი). დიდი თავისუფლების მოპოვებამ საზოგადოებაში სრული მშვიდობიანობა დაამყარა. ქურდ-ბაცაცების და სხვა [illegible] ძალების მოქმედებას ფრთა შეეკვეცა. [illegible] ეს ნაძირალები დიდ ფაცა-ფუცში არიან, უნდათ პროვოკაციით და სხვა ამ გვარ საშუალებებით ხალხში შური და მტრობა [illegible] და მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ. მაგალითათ მოვიყვან ერთ ინციდენტს, რომელსაც სამწუხაროთ ადგილი ქონდა აქ 14 მაისს:

ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრემ, [illegible], იასონ ბარათაიასი და ვლადიმერ [illegible] ინიციატორობით, განიზრახეს [illegible] სკოლის დარბაზში [illegible] რომლის შემოსავალი [illegible] ჯერ ნორჩის [illegible] წიგნთ-საცავ-სამკითხველოს [illegible] სკოლის დარბაზში [illegible] ის იყო წარმოდგენაც [illegible] ამ დროს მოულოდნელ[illegible] [illegible] ხელში ცნობ[illegible] [illegible] ძე დანელია, [illegible] და სცენის მოყვა[რეებს] [illegible] წინადადება [illegible]; ძალა-უნებ[illegible] [illegible] ამ [illegible] ჩაიშალა;— [illegible] ხალხის ინტე[illegible] [illegible] წარმოდგენით [illegible] მოყვანილობა. ბ. [illegible] მოქმედებაში უსა[illegible] [illegible] მისივე თანამოაზრე.

იმედია საზოგადოება და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი ასეთ უმსგავსო პიროვნებათა წინააღმდეგ დაუყონებლივ მიიღებს შესაფერს ზომას და ერთხელ და სამუდამოთ ალაგმავს მათ საზიზღარ გამოსვლებს.

მოკეთე.

ოზურგეთი (გურია). ეს კუთხე კულტურულათ წინ მიდის. რევოლუციის შემდეგ ხალხი ძალიან [illegible] ეკიდება ყოველივე კულტურულ საქმეს, სურს რაც შეიძლება თავისი წვლილი შეიტანონ საზოგადო საქმეში. სოც.-დემ. მოძრაობა აქ კარგათ მიდის. ბევრია ამ მიმართულების თანამგრძნობი და აქაურ ორგანიზაციას კარგი ხელმძღვანელიც ყავს. 18 მაისს აქ ადგილობრივ სკოლის დარბაზში მოხდა ქალთა კრება, კრებას დაესწრო ხუთასამდე ქალი. ილაპარაკა გიორგი შილაკაძემ. კრებამ იმ დღესვე აირჩია ხელმძღვანელი ბიურო, რომელმაც უნდა მოაწყოს ქალთა კავშირი. აქ არსებობს სამკითხველო, გახსნილი რევოლუციის შემდეგ. სამკითხველოს წიგნები საკმაოთ მოეპოვება. აქვე არსებობს კოოპერატივი, რომლის საქმე კარგათ არის დაყენებული.

ს. დოეხი (გორის მაზრა). 21 მაისს აქ მოხდა ხელახალი არჩევნები, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისა; თანახმათ იმ საარჩევნო წესებისა, რომელიც გამომუშავებულია კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ. კრებას დაესწრო სულ 300-დე კაცი და ქალი. თავმჯდომარეობდა ამხ. ს. სამადაშვილი. შეუდგნენ არჩევნებს. არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები: აბრამიძე სოლო, შაქარაშვილი ლადო, ყეინაშვილი პავლე, ბარჯაძე ბატონა, მათ კანდიდატებათ: ზეგლარაშვილი მოსე და თათანაშვილი სანდრო. არჩეულთა შორის მუდმივ თავმჯდომარეთ აირჩიეს აბრამიძე სოლო. კრებაზე დაამტკიცეს ოქმი, რომელიც წარედგინება მაზრის კომისარიატს.

ხოლიკო.

პროვინციის ცხოვრება.

ს. მარტყოფი. კვირას 21 მაისს, სოფ. მარტყოფში მოხდა სასოფლო ყრილობა, რომელსაც დაესწრო მაზრის კომისარი ბ. თუმანიშვილი.

კრება მრავალ-რიცხოვანი იყო და ამასთანავე საყურადღებო საკითხიც იყო განხილული. სახელდობრ ის, რომ ვითომ და „საზოგადო მოღვაწეთ" დავით თუშმალიშვილის და მღვდელ ალექსი ებიტაშვილს დააკისრეს გადასახდელად მითვისებული მათი სამსახურის დროს კოოპერატივში 1284 მ. 53 კაპ. რომლიდანაც პირველს თუშმალიშვილს დაეკისრა გადასახდელად 605 მ. 27 კ. მეორეს ებიტაშვილს 577 მ. 98 კ. დანარჩენი 101 მან. 28 კ. დაედო მესამე გამგეობის წევრს, რომელმაც ამ კრებაზედვე გადიხადა თავისი ხვედრი კოოპერატივის ზარალის მესამედი. ფულის გადახდა ამ „გმირებმა" აღუთქვეს კრებას ერთის კვირის განმავლობაში.

ეს ამოდენა ფული იყო მოცლენილი თითქმის სამი წელიწადია და კიდევ გაგრძელდებოდა, რომ დღეს მთელი ჩვენი ცხოვრება ჩვენს ხელში არ ყოფილიყო. რევოლუციის წყალობითვე ვეღირსეთ იმას, რომ ამ სოფლის ცხოვრება ჩადგა სასურველ მდგომარეობაში და სოფლის ბედ-იღბალს განაგებს ამორჩეული ხალხი.

სოფელში გაუქმდა ქურდობა, ლოთობა, ტყის გაჩეხვა, მინდორ-ყანების წახდენა და კიდევ ბევრ-გვარი სხვა ნაკლი. მოკეთე.

ხარაგაულში. ამას წინათ ჩვენ დეპეშით ვაცნობეთ რედაქციას, რომ აქ შესდგა ყაჩაღ-ავაზაკთა და პროვოკატორთა ჯგუფი და ათასნაირ ბნელ საქმეებს ეწევიანო-თქო.

ამ ჯგუფის მეთაურები უმთავრესათ ქალები აღმოჩნდენ, „მოწყალების დები". გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ (უმთავრესათ მოწყალების დას დოროქოვას) თითქმის სუყველა პარტიების ბეჭდები ხელმოწერილი სუფთა ბლანკები. ხელმოწერა ყალბია. აღმოაჩნდეს აგრეთვე თოკის კიბე, მრავალი გასაღებები და შიფრაზმული მიწერ-მოწერა. გამოირკვა აგრეთვე შემდეგი: გამოცხადდა თუ-არა თავისუფლება ერთი მანდილოსნის ინიციატორობით აქ გაიხსნა „სასადილო თავისუფლება". ხალხი ბევრი მიაწყდა, განსაკუთრებით ჯარისკაცები. გამოირკვა, რომ იქ ათასნაირ საზიზღრობას სჩადიოდენ: ათრობდენ მათ და შემდეგ ათასნაირ ბნელ საქმეებზე ითანხმებდენ. ეწეოდენ აგიტაციას და თავისუფლებას უხსნიდენ თავისებურათ. ჩხრეკის დროს იქაც მრავალი საბუთები აღმოაჩინეს. დააპატიმრეს მრავალი პირები. ბევრმაც დამალვა მოასწრო. გამოძიება სწარმოებს.

„ბექენცების" კასიდან 15 ათასი მანეთი გაიტაცეს. ფულის წაღება მოხდა რაღაც ჩუმათ. მხოლოდ რამოდენიმე თოფი გაისროლეს და მიიმალენ. ირკვევა, რომ ეს ამავე ჯგუფის მოქმედება არის, ადგილობრივ ს.-დემოკრატიულ პარტიის წევრებმა უკვე მიიღეს ზომები.

ნაპერწკალი.

სად. ნახიჩევანი (ერვ. გუბ.) 22 აპრილს ერთმა ამხანაგმა კითხვა აძრა კრებაზე და მოუწოდა კრებას აღენიშნათ პრესის დღე და რამოდენიმე სია თავის შესაფერისი წარწერით გინა კრებას ფულის მოსაგროვებლათ, სხვათა შორის ურჩია კრებას მეორე დღისთვის საზოგადო-მასიური კრება მოეწვიათ და აეხსნათ საზოგადოებისათვის პრესის დღის მნიშვნელობა, მაგრამ კრებამ ყურადღება არ მიაქცია ამხანაგის განცხადებას. კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა დიმ. ჟორდანიამ განუცხადა კრებას: „აქ ვიღაცეები უპასუხისმგებლო პირები ჩუმათ, სადღაც იკრიბებიან, გამოაქვთ სხვა და სხვა გადაწყვეტილებები და სურთ ცხოვრებაში გაატარონ ის. ეს ინტრიგანობაა და მეტი არაფერი. ბ. დიმ. ჟორდანიას სიტყვა ზოგიერთებს კანონათ მიაჩნიათ და კრების უმრავლესობამ თანხმობა გამოუცხადა „საზოგადო მოღვაწეს"! ეს დიდი პოლიტიკური დანაშაულობაა იმათთვის ვინც ასეთი ორგული სამსახური გაუწია პრესას. მიუხედავათ ამისა რამოდენიმე ამხანაგი შეუდგა პრესის სასარგებლოთ ფულის შეგროვებას.

როცა აქაური მოწინავე ქალები დადიოდნენ და ხელს აწერინებდნენ პრესის სასარგებლოთ, გაიგო ბ. დიმ. ჟორდანიამ და გამოუცხადა: რისთვის მოაწერეთ ხელი სიაზე, რომელსაც კომიტეტის ბეჭედი არ იყო სიაზეო. სულ დადიოდა ხუთი სია; ქალთა შორის ელენე კვიტინაძის ხელმძღვანელობით შეგროვდა 26 მ. 50 კ. სხვა და სხვა თანამგრძნობ რკ. გზ. მუშა მოსამსახურეებს შორის შეგროვდა ამხ. დიმიტრი ჯიბუტის ინიციატორობით 23 მ. 50 კ. კონდუქტორებსა და სადგურის მოსამსახურეებს შორის ამხ. [illegible]ნაძის ინიციატორობით შეგროვდა 20 მ. 50 [illegible] დეპოს დღიურ მუშებ. შორის ამხ. [illegible] [illegible]ციატ. შეგროვდა 9 მ. 20 კ. [illegible] გთხოვთ [illegible] შემდეგნაირათ: სამი თუმანი გაზ. „ერთობას" სამი თუმანი გაზ. „რუს. ბრძოლას", ოცი მანეთი გაზეთ სომხ. „ფაიქარს". სულ 80 მ.

გრ. მოწონელიძე.

ექიმების თანაშემწეთა საყურადღებოთ.

(4 ივნისის კრების გამო).

ამ კრებას, რომელიც უნდა მოხდეს მომავალ კვირას, დიდი მნიშვნელობა იქმნება ექიმებთა თანაშემწეთა ცხოვრებაში, რადგან ბევრი საჭირ-ბოროტო საკითხებია მოსასმენი და გადასაწყვეტი, მე აქ არ მოვიყვანით თუ დღემდის რა ცუდ პირობებში ვიმყოფებოდით და რაგვარათ ვიყავით დაქაქსულნი.

კრებაზე წაკითხულ იქნება მოხსენება ჩვენი წარმომადგენლისა, რომელიც დაესწრო ექიმთა თანაშემწეთა ყრილობას პეტროგრადში. მოხსენება იქნება აგრეთვე მუშათა საბჭოს წევრის და სხვა. კრებას ბევრი საჭირ-ბოროტო საკითხი აქვს გადასაჭრელი და ამიტომ ყველანი უნდა დაესწროთ.

გ. ვანხანიძე.

გაზეთის სასარგებლოთ.

ქუთაისის საგუბერნო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა შორის 22 აპრილის მუშათა პრესის დღის აღსანიშნავათ და მის სასარგებლოთ შეგროვდა 342 მან. 80 კ., რაც ხსენებულ კავშირის გამგეობამ გაანაწილა შემდეგნაირათ: 142 მ. 30 კ. გაზეთ „სოციალ-დემოკრატს", 50 მ. გაზეთ „გოლოს სოლდატა" 50 მ. „ერთობას", 50 მ. „ბორბას" და „ფაიქარს 50 მ., 50 კ. კი დაიხარჯა თფილისში ფულის გადმოსაგზავნათ.

ქუთაისის საგუბერნო სამრეწველო დაწეს. მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **გ. დ. ტუხკია.**

ხოხუმი. გიგზავნით 7 მანეთს. 3 მ. 50 კ. „ბორბას" და 3 მ. 50 კ. „ერთობის" ფონდის სასარგებლოთ.

ამხ. მონდობილობით **ს. მეხუზლა.**

ბათუმი. ჩვენ მე-582 ყუმბარის დრუჟინის ქართველი ჯარისკაცები გიგზავნით ჩვენი ინტერესების დამცველ გაზეთ „ერთობის" ფონდის სასარგებლოთ 7 მანეთს.

ამხ. მონდობილობით **ფოკა ინწკირველი.**

ვიქტორ ჩხაიძისაგან ფონდი 4 მ. 50 კ.

ფილიპე ჩაკვილაძისაგან 5 მანეთი.

ნესტორ მენდუკიძისაგან 5 მანეთი.

ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მკერავებისაგან 13 მ. 40 კ.

ალ. ელიკაშვილმა სამი თვით ჩვენი გაზეთი გაუწერა ჯარისკაცებს.

აქსენტი კუტუბიძემ [illegible] კუტუბიძის ხსოვნის აღსანიშნავათ გაზეთი გაუწერა ნახევარი წლით ჯარისკაცებს.

ექიმი კლიმენტი გერსამიასაგან ფონდი 10 მ.

ვიყიდე საქონელი, რომელიც გამოდგა დამპალი და ისევ უკანვე დავაბრუნე. ამ საქონლიდან უკან მიღებულ ფულს 47 მ. ვწირავ მუშათა გაზეთს „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ.

ქეთევან ბესარიონის ასული
ანდრონიკაშვილისა.

გიგზავნით 70 მ. 10 ამხანაგებში მოგროვილს გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ.

ათანას ბახას ძე გუგუშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბარცხანის მცხოვრებ—მებალეს 8 მაისს მოპარეს ექვსასი მანეთი: ოთხი ასიანი შემდეგი ნომრების: 1) 030061; 2) 030062, 3) 030063; 4) 030064.

ოთხი ხუთ თუმნიანი—1) 949483; 679245; 2) 679245; 3) 366552; 4) 596034.

ვსთხოვთ ყველას თუ ვინმეს შეხვდეს ხსენებული ნომრების ფული გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: Батумъ почт. ящ. № 175.

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ სიმონ ლევანის ძე ხაინდრავას, რომელმაც კეთილინება და ლეხაინდრაოს სამკითხველოს შემოსწირა 100 მ; ხოლო საზოგადოების ორგანიზაციას 300 მ

უმორჩილესად ვსთხოვთ ჩვენებურ გარედ გასულ ამხანაგ მეგობრებს არ დაიშურონ თავიანთი წვლილის გაღებით დაეხმარონ ნაჯახოვო-ნაგიბეროუს ამხანაგი „ევგენ გეგეჭკორის" სახელობაზე ახლად გახსნილი სამკითხველოს.

შემოწირულება გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: დ. ბანძა (სენაკის მაზრა). ნაჯახოვო-ნაგიბეროუს სამკითხველოს გამგეობას.

მოკეთე.

ბიის (ხონის რაიონი). ე. ნინოშვილის სახელობის უფასო სამკითხველოს ამ დროებით შემოსწირეს: კონსტანტინე იოსავამ 50 მან, დელფინე შონიასამ 10 მ. და სამსონ პეთაშვილმა 10 მანეთი. დასახელებულ პირთ და აგრეთვე სხვა შემომწირველებს ულრმეს მადლობას უცხადებთ.

გამგეობა.

ღია წერილი

იმ მოქალაქეებს, რომელნიც 1905-მდე ნასაკირალზე შეტაკების დროს გადამწვარ გურულების სასარგებლოთ შემოწირულებას ღებულობდენ.

1905 წლის ოქტომბერში ს. დვაბზუ (გურია) გადაწვა ძველი მთავრობის ერთმა რაზმმა. ეს მოხდა ნასაკირალზე რაზმელების და ჯარის შეტაკების დროს. დაიწვა დახლოებით ასამდე მოსახლე. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ დაზარალებულთა სასარგებლოთ დიდ ძალი თანხა შეგროვდა შემოწირულების სახით. ნაწილი უკვე მივიღეთ დაზარალებულებმა, მხოლოდ მეორე ნაწილი კი დარჩენილია დღესაც. ამისათვის ვსთხოვ იმ პატივ-ცემულ მოქალაქეებს, ვისთანაც არის დარჩენილი ეს ფული პასუხი გაგვცეს ამ კითხვაზე: თუ რა იყო მიზეზი დღემდი ფული რომ არ გადმოგვცა? წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთში გამოვაცხადოთ მათი სახელი და გვარი და შესაფერ პასუხსაც მოვსთხოვთ. ვადას ვაძლევ ამ წერილის დაბეჭდვიდან 15 დღეს

ლუკა ონისიმეს-ძე გაუონია.

მადლობას უცხადებთ ბ. ამბროსი სახინოს ძე გეგენავას, რომელმაც შემოსწირა ს. გეჯეთის სამკითხველოს 25 მ. გამგეობა.

ცნობები
ჯარის კაცების შესახებ.

ჯ. კ. სარდიონ კოსტას ძე ჯიბლაძე მსახურებდა კავკ. მომქმედ ჯარში 7 კავკ. საექიმო როტაში საველე ატრიადში, ზემსკი საიუზში, ვსთხოვთ ვინც რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს თუ რა ბედი ეწია მას. მისამართი: ბათუმი, საქონლის დეპო, მენიკე ჩალიგავა.

— ვლადიმერ ძიძიგური მსახურებდა 115 ხაპანის პოლკში, 12 როტაში, 2 ზვოდში და გაიგზავნა შემდეგ ერზერუმში. სამი თვეა არაფერი ვიცით. გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ბანძა, ქუთაისის გუბ. პავლე პატარაიას, გადასაცემათ ტრიფონ ზარკუას.

— ჯარის კაცი გიორგი (იგივე გრიგოლ) კოსტას ძე ჯორბენაძე მსახურებდა მომქმედ ჯარში 37 არმეისკი კორპუსში, 49 დივიზიაში 376 ხვალინსკი პოლკის მეათე როტაში. გთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: ქ. ბათუმი, საზოგადო საკრებულოში, პლატონ ვარდენის ძე ცინცაძე.

— ჯარის კაცი მიხა კუჭავა ავათ იყო და იწვა 377 ჰოსპიტალში ქ. ბათუმში ოთახი № 7. ხმა გავრცელდა, რომ ის იქ მოკვდაო, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერი გავიგეთ. ვსთხოვ იმათ, ვინც მის შესახებ იცის რაიმე მაცნობოს შემდეგი მისამართით: ს. ხეთა, ანდრო კუჭავას.

რედ.-გამომცემელი **მღ. ზ. ხოჩოხაძე.**

განცხადება.

ამით ვაცხადებ, რომ რწმუნება (დოვერენნოსტი), დამტკიცებული თფილისის ნოტარიუს ა. ი. კარაკაშთან 12 მაისს 1917 წელს—რეესტრის № 2565 და მიცემული მიხეილ გერასიმეს ძე გასან-ჯალალოვზე, აგრეთვე ხელ მოწერა, მიცემული მაშინვე, იმავე გასან ჯალალოვზე, ჩემ მიერ გაუქმებულია, რადგანაც ჩემი რწმუნებით მან ბოროტათ ისარგებლა და მრავალ შემთხვევაში ჩემი ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედა. ყველა ხელშეკრულებებს და ვალდებულებებს, რომელსაც დღეიდან გასან-ჯალალოვი მოახდენს ჩემის სახელით, ვაცხადებ გაუქმებულათ ჩემთვის არა სავალდებულოთ.

მ. გ. გასან ჯალალოვის და მისი მონაწილეების კანონისამებრ პასუხის გებაში მისაცემათ ვღძრავ სათანადო შუამდგომლობას. გზის ტეხნიკი **გრიგორ ტროფიმეს ძე შევცოვი.**

ქ. თფილისში, ოლღას ქ. №6, ს.-თავართქილაძის ქანცელარია და წიგნის მაღაზია

„განათლება"-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაიგზავნება მხოლოდ ფული გამოგზავნისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი [illegible] გაზეთები „ერთობა", „ბორბა", „კავკ. რაბოჩი", „[illegible]", „[illegible]", „საქართველო", [illegible], „[illegible]", „ფაიქარი", და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.